აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 392 937,2 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 307 361,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 78,2 პროცენტია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (278 656,8 ათასი ლარი) შედარებით შემოსულობების ფაქტიური შესრულება გაზრდილია 28 705,0 ათასი ლარით, ანუ 10,3 პროცენტით.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საანგარიშო პერიოდის შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 303 937,2 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 285 103,4 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 93,8 პროცენტით. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (247 884,2 ათასი ლარი) შედარებით შემოსავლების ფაქტიური შესრულება გაზრდილია 37 219,2 ათასი ლარით, ანუ 15,0 პროცენტით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები წილობრივად



1. გადასახადები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების უდიდესი ნაწილი, საერთო შემოსავლების 95,9 პროცენტი მოდის გადასახადებზე, რომელიც მოიცავს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს. საანგარიშგებო პერიოდის საშემოსავლო გადასახადის გეგმა განისაზღვრა 290 000,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 273 404,1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 94,3 პროცენტი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (237 232,7 ათასი ლარი) შედარებით გადასახადების ფაქტიური შესრულება გაზრდილია 36 171,4 ათასი ლარით, ანუ 15,2 პროცენტით.

2. სხვა შემოსავლები

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2021 წლის სხვა შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 13 937,2 ათასი ლარით, ხოლო შესრულებამ შეადგინა 11 699,3 ათასი ლარი ანუ გეგმის 83,9 პროცენტი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (10 651,6 ათასი ლარი) შედარებით სხვა შემოსავლების ფაქტიური შესრულება გაზრდილია 1 047,7 ათასი ლარით, ანუ 9,8 პროცენტით.

სხვა შემოსავლების საანგარიშო პერიოდის შესრულება მოდის მის შემდეგ სახეებზე: პროცენტებიდან შემოსავლების (სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთზე დარიცხული სარგებელი) საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 5 000,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 638,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 72,8 პროცენტი; დივიდენდებიდან შემოსავლის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 3 000,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 479,9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 49,3 პროცენტი; რენტიდან შემოსავლის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 2 767,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 396,1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 50,5 პროცენტი (რენტიდან შემოსავლები მოიცავს მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან და სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებულ შემოსავლებს); საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 690,0 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 581,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 84,2 პროცენტი; ჯარიმების, სანქციებისა და საურავების საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 100,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5,4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 5,4 პროცენტი; ტრანსფერებიდან, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული მისაღები შემოსავლების საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 2 380,2 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 597,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 193,2 პროცენტი.



არაფინანსური აქტივების კლება

ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლების (გაყიდვა) გეგმა განისაზღვრა 89 000,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიური შესრულება შეადგენს 22 251,5 ათას ლარს, ანუ გეგმის 25,0 პროცენტი, რადგან ვერ მოხერხდა 2021 წელს დაგეგმილი რიგი ქონების, მათ შორის მსხვილი ობიექტების პრივატიზება, რომელთა განკარგვის შედეგად უპირობოდ განხორციელდებოდა დაგეგმილი შემოსულობების შესრულება. სამინისტროს მიერ განსაკარგად გათვალისწინებული ქონების პრივატიზების მიზნით გამოცხადდა აუქციონები, მათ შორის რიგ ქონებაზე არაერთგზის, რომლებიც არ შედგა, რაც განპირობებულია ქვეყანაში არსებული პანდემიით გამოწვეული მდგომარეობით.

გარდა ამისა, ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებით გამოცხადებული პანდემიის ფონზე, მოსალოდნელი მძიმე ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ ბიზნეს სუბიექტებისათვის ხელშეწყობის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2020 წლის 31 ივლისის N7 დადგენილებით გათვალისწინებულ იქნა შეღავათები. კერძოდ, ინვესტორებს საპრივატიზებო თანხების გადასახდელად მიეცათ დამატებითი ვადები. აღნიშნული ანტიკრიზისული ღონისძიებების გათვალისწინებით, ინვესტორებმა ისარგებლეს შეღავათით და 2021 წლის საანგარიშო პერიოდში ქონების პრივატიზებიდან განსახორციელებელი გადახდები მთლიანად ან ნაწილობრივად გადაავადეს.

წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (10 049,8 ათასი ლარი) შედარებით არაფინანსური აქტივების კლების (გაყიდვა) ფაქტიური შესრულება გაზრდილია 12 201,7 ათასი ლარით, ანუ 121,4 პროცენტით.

ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 11 022,4 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 10 868,7 ათასი ლარი, ხოლო მატერიალური მარაგებისა და ფასეულობების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 360,4 ათასი ლარი.



ფინანსური აქტივების კლება

ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლების (გაყიდვა) ფაქტიური შესრულება შეადგენს 6,9 ათას ლარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2021 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა 414 221,8 ათას ლარს შეადგენს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება კი 328 308,3 ათას ლარს, რაც გეგმის 79,3 პროცენტს შეადგენს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა 5 216,8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 4 717,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 90,4 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი 701,0 ათასი ლარის ასიგნება დაფინანსებულია – 690,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 98,5 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა 3 017,9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 2 977,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 98,7 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და პროგრამულ ღონისძიებებზე 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 120 457,1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 87 545,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 72,7 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მასთან არსებული ორგანიზაციებისა და პროგრამული ღონისძიებებისათვის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 63 969,7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 56 430,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 88,2 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და პროგრამულ ღონისძიებებზე 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 31 417,6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 29 833,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგის 95,0 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მასთან არსებული ორგანიზაციებისა და პროგრამული ღონისძიებებისათვის 2021 წლის გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 18 972,9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 16 786,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 88,5 პროცენტია.

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები, რომლებიც მოიცავს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემ კაპიტალურ და სპეციალურ ფინანსურ დახმარებას, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსებას, საწევროებს საერთაშორისო ორგანიზაციებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდს, სესხების მომსახურების ხარჯებს, უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნების ხარჯებს, უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელ საინვესტიციო

პროექტებს და ამ პროექტების თანადაფინანსების ხარჯებს, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლების ფინანსურ უზრუნველყოფას, ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური რისკების რაოდენობრივ განსაზღვრას და ბათუმის ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის რეაბილიტაციის ხელშეწყობას, 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 170 468,9 ათას ლარს, ხოლო დაფინანსება კი - 129 327,6 ათას ლარს, რაც გეგმის 75,9 პროცენტი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდი

2021 წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 6 023,2 ათასი ლარი შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 9 ბრძანებით გამოეყო 68,7 ათასი ლარი განათლებისა და კულტურის სფეროში მოღვაწეთა ღვაწლის დაფასების მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2 122 ბრძანებით გამოეყო 4 217,5 ათასი ლარი, სამედიცინო, მატერიალური და სხვადასხვა მომსახურეობის დახმარების გაწევის მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 1 ბრძანებით გამოეყო 71,9 ათასი ლარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ არასტანდარტული ციტრუსის გადამამუშავებელ კომპანიებზე, მათ მიერ სამრეწველო გადამუშავებისმიზნით, ფიზიკური პირებისაგან არანაკლებ 0,20 ლარად შესყიდულ 1 კგ არასტანდარტულ მანდარინზე 0.10 ლარის ოდენობით სუბსიდიის გაცემის მიზნით.

ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების მერიებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 6 ბრძანებით გამოეყო 1 650,1 ათასი ლარი ხანძრისა და სტიქიისა შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების გაწევის მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 1 ბრძანებით გამოეყო 15,0 ათასი ლარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის გათვალისწინებით, გარდაცვლილი თანამშრომლის ოჯახის მატერიალური და მორალური მხარდაჭერის მიზნით.

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარების გეგმამ შეადგინა 108 757,9 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 78 520,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 72,2 პროცენტია.

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 30 660,9 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 26 251,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 85,6 პროცენტია.

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსება

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ დაფინანსება 15 222,4 ათასი ლარით, შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ დაფინანსება 1 273,0 ათასი ლარით, შპს „გოდერძი რესორტის“ დაფინანსება 171,2 ათასი ლარით და სს „აჭარის წყლის ალიანსის“ დაფინანსება 3 571,5 ათასი ლარით.

საწევროები საერთაშორისო ორგანიზაციებში

საანგარიშო პერიოდში გადახდილია ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის ხელშეწყობის ასოციაციის და პერიფერიული საზღვაო რეგიონების კავშირისა და შავი ზღვისა და ბალკანეთის კომისიის და ევროპის რეგიონთა ასამბლეის საწევრო გადასახადები 26,2 ათასი ლარის ოდენობით.

სესხების მომსახურების ხარჯები

საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესება და გაფართოებისათვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხების მომსახურების ხარჯები 47,1 ათასი ლარის ოდენობით და კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები 634,7 ათასი ლარი.

უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნება

საანგარიშო პერიოდში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) მიღებული სესხის დაბრუნების მიზნით გაიხარჯა 3 504,3 ათასი ლარი.

უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანადაფინანსების ხარჯები

საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა პროექტზე „მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარაში“ 72,8 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლების ფინანსურ უზრუნველყოფა

საანგარიშო პერიოდში გაცემული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლები 32,0 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

საანგარიშო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 30 მარტის №19 განკარგულებით მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილი იქნა 4 182,0 ათასი ლარი.

მხარჯავი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულების მდგომარეობა (ადმინისტრირება მართვისა და მომსახურების მიწოდების პროგრამებისა და ქვეპროგრამების გარეშე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 2021 წელს ახორციელებს ექვს პროგრამას: ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, ასევე 5 პროგრამას.

რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 169,8 ათასი ლარს, საიდანაც საკასო ხარჯი გაწეულია 146,3 ათას ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის N141 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“-გან ელექტრონული აუქციონების განცხადების განთავსებისა და ვაჭრობის პროცესის უზრუნველყოფის მომსახურეობის შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 30,0 ათასი ლარი;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების დაცვის მიზნით განხორციელდა დარაჯების (ყარაულების) დროებით სამუშაოზე აყვანა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 81,8 ათასი ლარი;
3. მომზადდა მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების აზომვითი საკადასტრო ნახაზები. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 3,0 ათასი ლარი;
4. განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონებების ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 3,5 ათასი ლარი;
5. სახელმწიფო ქონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების საბაზრო ღირებულებისა და საიჯარო ღირებულების დადგენის მიზნით განხორციელდა აუდიტორული მომსახურების შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 28,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 86,2 %

ქვეპროგრამის - რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 104,8 ათასი ლარს, საიდანაც საკასო ხარჯი გაწეულია 38,4 ათას ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „საინვესტიციო შეხვედრების ორგანიზება და მონაწილეობის უზრუნველყოფა“ ფარგლებში რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენის მიზნით განხორციელდა 4 ღონისძიება, სულ გაწეულია 33,7 ათასი ლარი. კერძოდ: 2021 წლის 26 ივლისს ბათუმში გაიმართა პოლონეთი-საქართველოს ბიზნეს ფორუმი. ფორუმს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი პოლონეთის სილეზიის სავოევოდოს მარშალი იაკუბ ჩელსტოვსკი დაესწრო. ბიზნეს ფორუმს საქართველოსა და პოლონეთში ლოჯისტიკის, ტურიზმის, ინოვაციური ტექნოლოგიების, მშენებლობის სფეროში მოღვაწე დაახლოებით 30 კომპანიის წარმომამდგენელი დაესწრო. საანგარიშო პერიოდში ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 9,1 ათასი ლარი.

2021 წლის სექტემბრის თვეში პოლონეთში, რიგით 30-ე ეკონომიკური ფორუმი გაიმართა. ეკონომიკურ ფორუმში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და

ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე მონაწილეობდა. მინისტრმა საინვესტიციო ფორუმში გამართულ შეხვედრაზე აჭარის საინვესტიციო პოტენციალზე, ქვეყანაში ბიზნესის დაწყების ეფექტურ სისტემაზე და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა. საანგარიშო პერიოდში ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 6,2 ათასი ლარი.

2021 წლის 9 ოქტომბრიდან 13 ოქტომბრის ჩათვლით აჭარის რეგიონში ტურისტული ბიზნესის განვითარების და საინვესტიციო პოტენციალის გაცნობის მიზნით აჭარაში იმყოფებოდა სამთავრობო და ბიზნეს დელეგაცია პოლონეთის რესპუბლიკიდან, ქალაქ ზიელონა გორას მერის - იანუშ კუბიცკის, სოციალური საკითხების დეპარტამენტის დირექტორის - ვიოლეტა ჰარეზლაკის და პროექტების დირექტორის სებასტიან იაგიელოვიჩის ხელმძღვანელობით. საანგარიშო პერიოდში ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 3,5 ათასი ლარი.

2021 წლის 8-11 დეკემბერს საერთაშორისო კომპანია „აიბისისიეს საქართველო“-ს (IBCCS Georgia), კვიპროს-საქართველოს ბიზნეს კლუბის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ორგანიზებით ბათუმში გაიმართა საინვესტიციო ფორუმი უცხოელი პოტენციური ინვესტორებისათვის. ფორუმს ესწრებოდა ათეულობით უცხოელი პოტენციური ინვესტორი სხვადასხვა ქვეყნიდან, შემდეგი ბიზნეს-სექტორებიდან: უძრავი ქონება, აუტსორსინგი, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ლოგისტიკა. საანგარიშო პერიოდში ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 14,9 ათასი ლარი.

ღონისძიების „საპრომოუშენო მასალის შექმნა აუდიო-ვიდეო, კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით და მათი რეკლამირება ინტერნეტის საშუალებით“ ფარგლებში მოხდა ბათუმის „ცენტრალური პარკის და გართობის ქალაქი“-ის საინვესტიციო პროექტის ფარგლებში არსებული ტერიტორიის (22 ჰა.) მარტივად აღსაქმელი ვიზუალური კონცეფციის - ვიდეო რგოლის შექმნა გრაფიკული დიზაინის გამოყენებით. ასევე შეიქმნა არსებული ტერიტორიის 3დ რენდერები. მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 4,7 ათასი ლარი.

ქვეყანაში არსებული პანდემიიდან გამომდინარე 2021 წელს მოხდა რიგი ღონისძიებების გაუქმება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 36,6 %

ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სივრცითი მოწყობის, დასახლებათა დაგეგმვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა 2021 წლის გეგმა შეადგენს 230,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 226,9 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის „დაბა ხულოს, შუახევისა და ქედის განაშენიანების გეგმების დამუშავება და სტრატეგიული კვარტლების განაშენიანების დეტალური გეგმების შემუშავება. დაბა ხულოს სტრატეგიული ადგილების

არქიტექტურული პროექტების დამუშავება“ ღონისძიების ფარგლებში მომზადდა ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების პროექტები, ხოლო დაბა ხულოს სტრატეგიული ადგილების არქიტექტურული პროექტების დამუშავების საკითხი მიმდინარე ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან წინასწარ დაგეგმილი საპროექტო არეალის მნიშვნელოვანი ნაწილის რეაბილიტაცია ხორციელდება საქართველოს მთავრობის პროგრამის „განახლებული რეგიონები“-ს ფარგლებში.

დოკუმენტის მომზადებაზე მუშაობდა სამინისტროსთან არსებული სივრცითი მოწყობის სამუშაო ჯგუფი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 223,4 ათასი ლარით. სამუშაო ჯგუფის საჭიროებებიდან გამომდინარე შესყიდულია 3,5 ათასი ლარის ღირებულების ტონერიანი კარტრიჯები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,7 %

ქვეპროგრამის - ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 520,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 1 298,2 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მაჭახლის ხეობაში ეთნოსოფელის განვითარებისთვის პირველი და მეორე რიგის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება და მეორე რიგის სამშენებლო სამუშაოებისათვის სამშენებლო დოკუმენტების პროექტების შესყიდვა“ ღონისძიების ფარგლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭარისწყლის ტერიტორიაზე ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობის ძირითადი ნაწილი დასრულებულია. დარჩენილი მოპირკეთება/კეთილმოწყობის სამუშაოები კონტრაქტორმა კომპანიამ დაასრულა 2022 წლის იანვრის თვეში. საანგარიშო პერიოდში ღონისძიება დაფინანსდა 601,1 ათასი ლარით.

შუახევის მუნიციპალიტეტის ჭვანის ხეობაში ჭვანის ხეობის ტურისტული პოტენციალის კვლევისა და კვლევებზე დაფუძნებით შექმნილი ტერიტორიის ტურისტული განვითარების არსებული კონცეფციის ფარგლებში მომზადდა „ხაბელაშვილების თაღოვანი ხიდი“-ს მიმდებარე ტერიტორიების განვითარებისა და კეთილმოწყობისათვის (მისასვლელი ბილიკი, ხიდი, ღია პარკინგი, ბელვედერი/ები, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა - ვიზიტორთა ცენტრი, ამფითეატრი და სხვა) საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. საანგარიშო პერიოდში ღონისძიება დაფინანსდა 228,0 ათასი ლარით.

„ხულოს მუნიციპალიტეტში მწვანე ტბის სარეკრეაციო ადგილის კეთილმოწყობის მეორე ეტაპი და სარეკრეაციო ადგილის, მიმდებარე სეზონური დასახლებებისა და ალპური ბოტანიკური ბაღის ელექტრომომარაგება“ ღონისძიების

ფარგლებში განხორციელდა მწვანე ტბის სარეკრეაციო ზონის კეთილმოწყობის მეორე ეტაპის ძირითადი სამშენებლო სამუშაოები, კერძოდ, კაფე მარკეტის, ამფითეატრის, 2 ერთეული ღამის გასათევის, სპორტული მოედნისა და საპირფარეშოს და კაფე მარკეტის შუალედური სამშენებლო სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში ღონისძიება დაფინანსდა 469,1 ათასი ლარით.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭარისწლის ტერიტორიაზე ტურისტულ-საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა საანგარიშო პერიოდის გარკვეულ ეტაპზე მიმდინარეობდა შეფერხებით, რაც გამოწვეული იყო ადგილობრივი ახალგაზრდების ჯგუფის მოთხოვნების საბოლოო გადაწყვეტის გამო. ახალგაზრდების ჯგუფი მუნიციპალიტეტისგან დამატებით მოითხოვდა სპორტული მოედნის/ ახალგაზრდული სახლის მშენებლობის გადაწყვეტას, რაც დადებითად გადაწყდა საქართველოს მთავრობის პროგრამის „განახლებული რეგიონები“-ს ფარგლებში. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში საზოგადოებრივი მრავალფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელმა კომპანიამ მოქალაქე მიხეილ მერკულაძის მხრიდან მშენებლობის ხელისშემშლელი ფაქტორების გამო ვერ უზრუნველყო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად სამშენებლო სამუშაოების დაწყება. რაც შეეხება ეთნოსოფელის განვითარებისათვის მეორე რიგის სამუშაოებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვას, ის ვერ განხორციელდა დასაპროექტებელი ობიექტების ქონებისა და მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურების გამო (მდინარე აჭარისწყლის ტერიტორიაზე ლითონის ხიდი, ე.წ „ქვემეხი“-ს ტერიტორია).

შუახევის მუნიციპალიტეტის ჭვანის ხეობაში ჭვანის ხეობის ტურისტული პოტენციალის განვითარებისათვის მომზადებული „ხაბელაშვილების თაღოვან ხიდი“-ს მიმდებარე ტერიტორიების განვითარებისა და კეთილმოწყობისათვის (მისასვლელი ბილიკი, ხიდი, ღია პარკინგი, ბელვედერი/ები, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა - ვიზიტორთა ცენტრი, ამფითეატრი და სხვა) საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის საფუძველზე პირველი რიგის სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად გამოცხადებული ტენდერი არ შედგა, რომელიც გამოცხადდა განმეორებით (NAT 210019068) და დასრულდა უარყოფითი შედეგით.

ხულოს მუნიციპალიტეტში მწვანე ტბის სარეკრეაციო ტერიტორიისა და ალპური ბოტანიკური ბაღის ელექტრომომარაგების, შემდგომში მიმდებარე სეზონური დასახლებების ელექტრომომარაგების უზრუნველყოფით, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი (NAT210020240) შეწყდა სატენდერო დოკუმენტაციაში განსახორციელებული აუცილებელი ცვლილების გამო. შესაბამისად არ განხორციელდა პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ავანსის გაცემა. ასევე მწვანე ტბის სარეკრეაციო ზონის კეთილმოწყობის მეორე ეტაპის სამშენებლო სამუშაოები მიმწოდებელმა კომპანიამ ვერ დაასრულა სამშენებლო სამუშაოებისთვის არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 51,5 %

ქვეპროგრამის - აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტების განვითარება 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 219,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი არ გაწეულა.

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამა დაზუსტებული გეგმით ითვალისწინებდა ორი ღონისძიების განხორციელებას: „კურორტ ბეშუმისა და მიმდებარე ტერიტორიების ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება“ ღირებულებით 250,0 ათასი ლარი და „გომარდულის სარეკრეაციო ადგილის ინფრასტრუქტრის განვითარება“ ღირებულებით 969,9 ათასი ლარი.

კურორტ ბეშუმისა და მიმდებარე ტერიტორიების ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავების სახელმწიფო შესყიდვა დაიგეგმა კონკურსის წესით. შესყიდვის ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭირო გახდა შემუშავებული ტექნიკური დოკუმენტაცის არაერთხელ გაანალიზება და შესაბამისად ცვლილებების შეტანა, რამაც გამოიწვია კონკურსის (CNT210000030, გამოცხადების თარიღი 2021 წლის 8 ნოემბერი) დაგეგმილითან შედარებით გვიან გამოცხადება. გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში მიმწოდებელ კომპანისათან ხელშეკრულება გაფორმდა 2022 წლის 7 თებერვალს, შესაბამისად 2021 წელს დაგეგმილი ავანსის გაცემა არ განხორციელდა. „გომარდულის სარეკრეაციო ადგილის ინფრასტრუქტრის განვითარება“ ღონისძიების ფარგლებში შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარდულში ფიქსირებული ოთხადგილიანი (4 CLF მოსაჭიდი სკამებით) ლიფტის საბაგიროს პროექტის შედგენა და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი (NAT210018783) დასრულდა უარყოფითი შედეგით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამშენებლო არეალი განთავსებულია მაღალი მთის ზონაში, სადაც ხელსაყრელი საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო კლიმატური პირობები ზამთრისა და ადრე გაზაფხულის პერიოდში შეზღუდულია, აღნიშნულიდან გამომდინარე 2021 წლის ბოლო კვარტალში ღონისძიების განხორციელების მიზნით სახელმწიფო შესყიდვისთვის ტენდერის გამოცხადება მიზანშეწონილად არ ჩითვალა.

სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამის 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 28 284,6 ათას ლარს, საკასო შესრულება 11 114,2 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.09.876) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამივე ბლოკის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, კერძოდ:

- პირველი კორპუსის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულებულია მეცამეტე სართულის გადახურვის მონოლითური ფილის დონეზე, მეთორმეტე სართულის ჩათვლით მოწყობილია არამზიდი კონსტრუქციები და პარალელურად მიმდინარეობს ვენტილაციის, წყალმომარაგების, გაზმომარაგების, საბათქაშო და სხვა მოწყობის სამუშაოები.

• მეორე კორპუსის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულებულია მეცხრე სართულის გადახურვის მონოლითური ფილის დონეზე, მერვე სართულის ჩათვლით მოწყობილია არამზიდი კონსტრუქციები და პარალელურად მიმდინარეობს ვენტილაციის, წყალმომარაგების, გაზმომარაგების, საბათქაშო და სხვა მოწყობის სამუშაოები.

• მესამე კორპუსზე დასრულებულია ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა (13 სართული), არამზიდი კონსტრუქციების და შიდა საინჟინრო ქსელების მოწყობა. დასრულებულია სახურავის მოწყობა და მიმდინარეობს მოპირკეთების სამუშაოები.

დასრულებულია 3 ცალი რეზერვუარის მშენებლობა.

დაწყებულია ე.წ „ოცნების ქალაქის“ შემდგომი განვითარებისათვის განაშენიანების დეტალური გეგმისა და ამავე გეგმის მიხედვით ერთ-ერთ კვარტალში საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

საანგარიშო პერიოდში სამშენებლო სამუშაოები, მშენებლობის ტექნიკური ზედამხეველობა, საინჟინრო-კომუნალური ქსელების ოპერატორ კომპანიებისგან ახალი აბონენტების დაერთება და განაშენიანების დეტალური გეგმისა და ამავე გეგმის მიხედვით ერთ-ერთ კვარტალში საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება დაფინანსდა 11 114,2 ათასი ლარით.

მეჯინისყწლის დასახლებაში დღემდე არ არსებობს ცენტრალური საკანალიზაციო ქსელი, რომლის პროექტირება/მშენებლობის კუთხით სამინისტრო აქტიურად მუშაობს შპს ბათუმის წყალსა და უცხოელ პარტნიორებთან (საკონსულტაციო კომპანია MACS) ერთად. ცენტრალური საკანალიზაციო ქსელის არ არსებობის გამო ვერ ხერხდება მშენებარე ოვბიექტის წყალმომარაგების/კანალიზაციის ქსელზე დაერთების წერტილის მითითება მშენებლისთვის, ასევე არ იყო მოპოვებული ტექნიკური პირობები საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი კომპანიებიდან - ელ. მომარაგების და ბუნებრივი აირის ქსელზე ობიექტის დაერთების თაობაზე (აღნიშნული საკითხი მოგვარდა 2022 წელს), რის გამოც მოხდა სამშენებლო სამშაოების შეფერხება და შესაბამისად, მოხდა კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების გადავადება და შესაბამისად ბიუჯეტის კუთხით ვერ მოხდა თანხის სრულად ათვისება.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 39,3 %

საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს ერთ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2 000,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 1 280,5 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში პროგრამა ითვალისწინებდა შუახევი (ხიჭაურის დასახლება) - გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთზე საშუალოწნევიანი გაზსადენის

მშენებლობას. 2021 წლის მდგომარეობით შპს „ენერჯი ინვესტი 2009“-მ დაასრულა შუახევი (ხიჭაურის დასახლება) - დაბა ხულოს მონაკვეთზე გაზსადენის (23 540 გრძ/მ) სამონტაჟო სამუშაოები. დაბა ხულო - გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთზე მოეწყო 2 685 გრძ/მ გაზსადენი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, გაზსადენის მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბათუმი - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთზე საავტომობილო გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოების პარალელურად, რეკონსტრუირებული გზის ბუფერულ ზონაში. საავტომობილო გზის მიმდინარე კონკრეტული სარეკონსტრუქციო სამუშაოები არ იძლევა საშუალებას პარალელურ რეჟიმში განხორციელდეს გაზსადენის მშენებლობაც.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 64,0 %

პროგრამის - ეკონომიკური ობსერვატორია 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 45,0 ათას ლარს, ფაქტიური დაფინანსება 30,9 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ეკონომიკური ობსერვატორიამ ემპირიულ კვლევის საფუძველზე განსაზღვრა აჭარის რეგიონის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი, სამშენებლო სექტორში არსებული სიტუაციის ანალიზის მიზნით დაამუშავა ქობულეთის მუნიციპალიტეტში გაცემული სამშენებლო ნებართვების ბაზა, შეიმუშავა პარკის ეკონომიკური ანალიზი, ასევე შეაფასა ქალაქის პერიფერიულ ნაწილში უძრავი ქონების ფასების ცვლილება ჰედონიკის მეთოდის გამოყენებით. ეკონომიკური ობსერვატორიის თანამშრომლებზე გაიცა ხელფასი 30,9 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ საანგარიშო პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი სრულად არ იყო დაკომპლექტებული.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 68,7 %

სსიპ „ბათუმის ბულვარი“ ახორციელებს ორ ქვეპროგრამას - ბათუმის ბულვარის მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის - ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 8 483,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 6 872,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში ბათუმის ბულვარის მოვლა-შენახვასა და მიმდინარე ხარჯებზე გაწეულია 6 003,9 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად მოიცავს ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გარე განათებისა და მუსიკალური შადრევნებისათვის ელექტრო ენერგიის ხარჯს, ბულვარის ტერიტორიის დასუფთავების, სანიტარული მომსახურების და ბულვარის ტერიტორიის დაცვის ხარჯს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული კაპიტალური პროექტების საკასო ხარჯმა შეადგინა 868,9 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1. „სხვადასხვა სახის მრავალწლიანი ხე მცენარეების შეძენა" ღონისძიების ფარგლებში შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის მრავალწლიანი ხე-მცენარეები, სააგნარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 188,5 ათასი ლარი.

2. „საშხაპეებისა და გასახდელების მოწყობა სანაპირო ზოლზე" ღონისძიების ფარგლებში ბათუმის ბულვარში არსებულ სანაპირო ზოლზე (პლაჟზე) დამონტაჟდა 3 ცალი ლითონის კონტრუქციის გასახდელი და 6 ცალი ლითონის კონსტრუქციის საშხაპე, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 36,1 ათასი ლარი.

3. „პლაჟზე არსებული გასახდელისათვის არსებული ტენტის შეცვლა ალიკაბონდით" ღონისძიების ფარგლებში ბათუმის ბულვარის სანაპირო ზოლზე (პლაჟი) განთავსებულ 18 ერთეული გასახდელისათვის შეძენილი იქნა ალიკაბონდის საფასადე ფილები, საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 45,3 ათასი ლარი.

4. „ახალ ბულვარში ადაპტირებული საპლაჟე ინფრასტრუქტურისათვის გასახდელისა და საშხაპეების მოწყობა" ღონისძიების ფარგლებში ბათუმის ბულვარის სანაპირო ზოლზე (პლაჟი) მოეწყო 1 ერთეული ადაპტირებული გასახდელი და 1 ერთეული ადაპტირებული საშხაპე, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 21,1 ათასი ლარი.

5. „თუჯის ბოძწკინტების შესყიდვა" ღონისძიების ფარგლებში შესყიდული იქნა თუჯის სხმულისგან დამზადებული 31 ცალი ბოძწკინტი, საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 29,1 ათასი ლარი.

6. „ბათუმის ბულვარში არსებული შადრევნებისათვის სათადარიგო ნაწილების შეძენა" ღონისძიების ფარგლებში შეძენილია შადრევნებისათვის სათადარიგო ნაწილები, საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 250,7 ათასი ლარი.

7. „ბაღის კლასიკური სამმეტრიანი სკამების შეძენა" ღონისძიების ფარგლებში შეძენილი იქნა 105 ერთეული ბაღის კლასიკური სამმეტრიანი სკამები. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 98,7 ათასი ლარი.

8. „ორფიგურიანი კომპოზიცია - „მე, შენ და ბათუმი" ქანდაკების აღდგენა" - ღონისძიების ფარგლებში აღდგენილი იქნა ორფიგურიანი კომპოზიცია „მე, შენ და ბათუმი" ქანდაკება. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 19,5 ათასი ლარი.

9. „გადასასვლელები სანაპირო ზოლზე" ღონისძიების ფარგლებში შეძენილია ხის საფეხმავლო ბილიკი 519 ცალი, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 105,8 ათასი ლარი.

10. „კულტივატორის და ელექტრო საკრეჭი ხელსაწყოების შესყიდვა" ღონისძიების ფარგლებში შეძენილია 3 ცალი ელექტრო საკრეჭი და 1 ცალი

კულტივატორი. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 6,3 ათასი ლარი.

11. „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარჯი“ ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე სარემონტო სამუშაოების სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 4,2 ათასი ლარი.

12. „ბათუმის ბულვარის განაშენიანების გეგმის შემუშავება“ ღონისძიების ფარგლებში მიღებული მომსახურების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 63,6 ათასი ლარი. ხელშეკრულების შესაბამისად „ბათუმის ბულვარის განაშენიანების გეგმის შემუშავება“ დოკუმენტაციის ბოლო ეტაპის (გაიდლაინები) მიღება დაგეგმილი იყო 2021 წლის დეკემბრის თვეში, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მოცულობიდან გამომდინარე, მასალების გაცნობის, გამოთქმული შენიშვნების მიხედვით მასალების კორექტირების და შემდგომ მისი მიღების მიზნით, ინსპექტირების ჯგუფთან და მომწოდებელთან შეთანხმებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა 2022 წლის 24 თებერვლის ჩათვლით.

საანგარიშო პერიოდში გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით: „ბულვარის სანაპირო ზოლზე საზღვაო სამაშველო სამეთვალყურეო შენობის (კოშკურა) მოწყობის სამუშაოები“ ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილი იყო 230,0 ათასი ლარი, აღნიშნული ღონისძიების შეუსრულებლობა გამოწვეულია იმით, რომ შესყიდვის განხორციელებისათვის ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგად პოტენციური მიმწოდებლების მიერ ტექნიკური დავალების შესაბამისად ვერ მოხერხდა ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწოდება, რის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო ელექტრონული ტენდერის გამოცხადება. „ბულვარის ტერიტორიაზე სამეთვალყურეო ვიდეოკამერების შესყიდვა“ ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა ბულვარის ტერიტორიაზე სამეთვალყურეო ვიდეოკამერების შესყიდვა-მონტაჟი სახელშეკრულებო ღირებულებით 1 011,9 ათასი ლარი. სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდა 2021 წლის 29 დეკემბერს, რის შემდეგაც თანხის გადახდაზე საგადასახადო მოთხოვნა გადაიგზავნა ხაზინაში, თუმცა დაფინანსება ვერ განხორციელდა 2021 წელს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 81,0 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი 2021 წელს ახორციელებს ოთხ პროგრამას: ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა, აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე, ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება და ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევნციის ღონისძიებები.

ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისიწინებს ორ ქვეპროგრამას, რომელთა ფარგლებში ხორციელდება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მართვის ქვეპროგრამა და ასევე ქვეპროგრამა - დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოება.

ქვეპროგრამის - დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 7,3 ათას ლარს, შესრულებამ შედგინა 7,3 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიება „ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევა“ 2020 წლის მრავალწლიანი ხელშკრულების ფარგლებში ა(ა)იპ ევროპული საგანმანათლებლო ცენტრმა უზრუნველყო კვლევის მესამე ეტაპის დროულად მოწოდება. ადგილობრივი ტურისტული ბაზრის 2020 წლის კვლევა დასრულდა.

2021 წლის ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევას აწარმოებს შპს „Innova“. მიმდინარეობს კვლევის პირველი და მეორე ეტაპები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პროგრამა ითვალისიწინებს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზრებზე საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 814,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 738,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით დეპარტამენტმა მონაწილეობა მიღო 3 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, კერძოდ:

1. ATM - დუბაი, არაბთა გაერთიანებული საამიროები.
2. FITUR - მადრიდი, ესპანეთის სამეფო.
3. IBTM ბარსელონა, ესპანეთის სამეფო.

ასევე განხორციელდა 17 სარეკლამო-საინფორმაციო ტურის ორგანიზება, რომლის ფარგლებშიც აჭარას ეწვია მედიისა და ტურისტული კომპანიების 161 წარმომადგენელი, მათ შორის 41 ჟურნალისტი და 120 ტურისტული კომპანიის წარმომადგენელი, შედეგად მომზადდა 21 სტატია, 1 სატელევიზიო დოკუმენტური გადაცემა, 11 სატელევიზიო სიუჟეტი და 2 ბლოგი.

აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ სარეკლამო-საინფორმაციო სტატია განთავსდა National Geographic Traveller-ის 2021 წლის ოქტომბრის გამოცემაში.

აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ სარეკლამო-საინფორმაციო სტატია განთავსდა National Geographic Traveller Food-ის 2021 წლის შემოდგომის გამოცემაში.

აჭარის სარეკლამო ვიდეორგოლები გავიდა Euronews-ის ეთერში.

ევრონიუსის მიერ UNESCO-ს მიერ საქართველოს 4 დაცული ტერიტორიისათვის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებად აღიარების შესახებ მომზადებული სიუჟეტი „ფოკუსი“ გავიდა ევრონიუსის ეთერში და განთავსდა ევრონიუსის ოფიციალურ ვებგვერდზე.

აჭარის ფოტოსლაიდშოუ (ბათუმი და დაცული ტერიტორიები) გავიდა ევრონიუსის ეთერში.

აჭარული სამზარეულოს შესახებ სტატია განთავსდა ჟურნალში Homeland of wine, რომელიც დაიგზავნა შემდეგ ქვეყნებში: ამერიკა, ინგლისი, ბელგია, ჰოლანდია, საფრანგეთი, გერმანია, ლატვია, პოლონეთი, ყაზახეთი, რუსეთი, ბელორუსი, იაპონია, ჩინეთი.

მიღწეულ იქნა შეთანხმება და დაიდო ხელშეკრულება World Travel Awards-ის ევროპის დაჯილდოების გალა ცერემონიის 2023 წელს ბათუმში ჩატარების თაობაზე.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 90,7 %

ქვეპროგრამის - რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 458,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 412,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში დამუშავდა ,,აჭარის ტურისტული ანბანი“-ს პროექტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა თემატური და კრეატიული კამპანიით ტურისტებისთვის აჭარაში მოგზაურობის 33 მიზეზის ახლებურად ჩვენება. შედგა თანამშრომლობა მარკეტინგულ კომპანიასთან, რომლის მიერ მოწოდებული იქნა ზემოაღნიშნული პროექტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 33 ვიდეო.

ქალაქ ბათუმის ცენტრალურ უბნებში ლაითბოქსისა და განათების ბოძებზე განთავსდა აჭარის ტურისტული პოტენციალის ამსახველი სარეკლამო ბანერები და ბილბორდები, სულ 47 ერთეული.

აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა 8 შიდა ტური ქართველი ჟურნალისტების, ბლოგერებისა და ფოტოგრაფებისთვის. შედეგად მომზადდა 11 სატელევიზიო სიუჟეტი, 2 პირდაპირი ჩართვა და 18 პოსტი.

დეპარტამენტის სიახლეებისა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით სარეკლამო სააგენტოს „ახალი ამბებში“ განთავსდა 97 ნიუს სტატია.

აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით ინტერნეტ გამოცემაში „ბათუმელები“ მომზადდა 9 სტატია-ბლოგი.

მიმდინარეობდა ინტერნეტ რეკლამა ქვეყნის შიგნით Facebook-ის სოციალურ მედია პლატფორმაზე.

განხორციელდა მარკეტინგული აქტივობა კურორტ გოდერძიზე ზამთრის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 90,2 %

ქვეპროგრამის - რეგიონის, ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის საჭირო მასალების დამზადება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 106,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 68,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში საერთაშორისო პიარ და მარკეტინგული აქტივობების განსახორციელებლად, საერთაშორისო პლატფორმებზე რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირებისთვის ღონისძიების მაღალი რეზოლუციის, დადგმული, ექსკლუზიური სარეკლამო ფოტო მასალის დამზადების ფარგლებში განხორციელდა მომსახურება - მოწოდებულია 60 ფოტო.

ასევე დეპარტამენტმა შეიძინა სარეკლამო საპრომოციო მასალა, კერძოდ: 2 000 ცალი ბრენდირებული ბლოკნოტი.

დაგეგმილი იყო ბრენდირებული ჩანთების შეძენა, მაგრამ მომწოდებელმა კომპანია დროულად ვერ შეასრულა ვალდებულება და ნაცვლად 2021 წლისა საქონელი მოწოდება განხორციელდა 2022 წელს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 64,6 %

ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარების პროგრამა ითვალისიწინებს სამ ქვეპროგრამას, აქედან **ქვეპროგრამა - სრულყოფილი ინფორმაციითა და ხარისხიანი მომსახურებით ტურისტების უზრუნველყოფა, რომელიც წარმოადგენს** ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს“ ადმინისტრიულ ხარჯებს და 2 ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 904,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 902,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 11 საინფორმაციო გაცნობითი ტურის ორგანიზება. ასევე ჩატარდა ზაფხულის ტურისტული სეზონის გახსნის ღონისძიება.

ღონისძიების ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაცია და განვითარების ფარგლებში განხორციელდა საინფორმაციო ბანერების და დაფების, კანიონინგის აღჭურვილობის და კანიონინგის პროფესიონალი ინსტრუქტორების მომზადებისა და მათთვის სატრენინგო მომსახურების შესყიდვა, დასრულდა ქედისა და შუახევის

მუნიციპალიტეტების გარდამავალ მარშრუტზე საფეხმავლო-საველოსიპედე ბილიკისთვის სამშენებლო სამუშაობი. ასევე დასრულდა საპიკნიკე ინფრასტრუქტურის მოწყობა შუახევისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტბში. დასრულდა ასევე ინფარსტრუქტურული პროექტი ტურისტული თავშესაფარის მშენებლობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,8 %

ქვეპროგრამის - ტურიზმის დარგში სერვისის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 314,4 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 307,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა „ქალაქ ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტურების და თემატური მარშრუტების სამენოვანი, პრაქტიკული ელექტრონული სახელმძღვანელოების შექმნა, პროფესიონალი თუ დამწყებ გიდისათვის ყველა საჭირო ტექსტუალური მასალით, ფოტოებითა და ელექტრონული რუკებით“. ასევე მომზადდა 10 სასწავლო ვიდეორგოლი სერვისის სფეროს წარმომადგენლებისთვის სარესტორნო თემატიკაზე, რომელიც აიტვირთა სერვისის განვითარების ონლაინ პლათფორმაზე და ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ტურიზმის დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით აჭარის ა.რ ხუთ მუნიციპალიტეტის 26 სოფელში არსებული საოჯახო სასტუმრო სახლების წამომადგენლებისათვის განხორციელდა ტრენინგები, სულ გადამზადდა 516 ადამიანი.

ასევე ტურიზმის სექტორში დასაქმებულთათვის მომსახურების ხარისხის ამაღლების კუთხით აჭარის მუნიციპალიტეტების 10 სოფელში დაიწყო სხვადასხვა აქტივობის ორგანიზება „ტურისტული პროდუქტის შექმნისა და მათი სერვისად ქცევის მიზნით საოჯახო სასტუმრო სახლების წარმომადგენლებისათვის. ამავე პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 99 ადამიანმა.

ასევე განხორციელდა აჭარის ტერიატორიაზე არსებული კვებისა და განთავსების ობიექტების წარმომადგენლებისათვის, კერძოდ: ბარმენებისათვის, ყავისა და ჩაის მომზადების ტექნოლოგიის (ბარისტას) თემატიკაზე სხვადასხვა მასტერკლასი და ვორკშოპი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 27-მა ბარმენმა. ასევე, ამავე ღონისძიების ფარგლებში დამზადდა 1 სასწავლო ვიდეო გაკვეთილისა.

ასევე აჭარის ოთხ სოფელში სოფლად არსებული საოჯახო სასტუმრო სახლების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ სხვადასხვა დონის ინგლისური ენის მოკლევადიანი ტრენინგ-კურსი. სულ გადამზადდა 59 ადამიანი.

ტურიზმის დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზანით, კერძოდ, აჭარაში მოქმედი და დამწყები ტურისტული გიდებისათვის ჩატარდა 10 თემაზე ტრენინგები - სალექციო შეხვედრები, რომელსაც დაესწრო 51 გიდი.

ტურისტულ ობიექტებში მომსახურების ხარისხის რეგულარული მონიტორინგის მიზნით „იდუმალი სტუმრის“ მეთოდით განხორციელდა აჭარის სოფლებში არსებული 100 საოჯახო ტიპის სასტუმრო სახლების მონიტორინგი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,8 %

პროგრამის - ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევნციის ღონისძიებები საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 9 596,2 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება 9 314,7 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში დეპარტამენტის მიერ უზრუნველყოფილი იქნა საკარანტინე ზონების მოწყობა, რისთვისაც შესყიდული იქნა სხვადასხვა დასახელების საქონელი და მომსახურება, კერძოდ: სასტუმრო მომსახურება, რომელიც მოიცავს კარანტინის რეჟიმის საჭიროების მქონე ადამიანების სასტუმროში განთავსებას, მათ კვებას, სასტუმროს დეზინფექციას, ასევე დეპარტამენტმა უზრუნველყო საკარანტინე სივრცეში განთავსებული პირების ტრანსპორტირებით მომსახურება.

საკარანტინე სივრცეებად მოწყობილ სასტუმროებში მომუშავე პერსონალის შრომის და უსაფრთხოების დაცვის მიზნით განხორციელდა სხვადასხვა სამედიცინო ტანსაცმლისა და ჰიგიენური მასალების შესყიდვა.

საანგარიშო პერიოდში მოწყობილ საკარანტინე სივრცეებში შესაბამისი მომსახურება გაეწია 15 693 პირს.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 97,1 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი 2021 წელს ახორციელებს ორ პროგრამას: საავტომობილო გზების მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სამ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - გზების რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 26 122,8 ათას ლარს, ხოლო შესრულება - 21 478,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში დასრულდა 24 გზაზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობა და 8 გზაზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღონისძიებები ორწლიანია და დასრულდება 2022 წლის განმავლობაში.

ქობულეთის სამრეწველო ზონის (0.75კმ) გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების სპეციფიკური თავისებურებებიდან გამომდინარე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა შესაძლებელი გახდა წლის ბოლოსთვის, რის გამოც ობიექტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა 2021 წელს ვერ განხორციელდა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ჭოროხის გზაზე (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) ნაპირსამაგრი ნაგებობით (2.2კმ) ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. გარდა ამისა, შუახევის მუნიციპალიტეტში კარაპეტის გზის (3.115 კმ) სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 2-ჯერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. აღნიშნული მიმართულება 2022 წლის ბიუჯეტშიც არის გათვალისწინებული, რის გამოც 2021 წლის ბოლოსთვის კიდევ ერთხელ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი.

გარკვეულ სამშენებლო ობიექტებზე კონტრაქტორმა კომპანიებმა ვერ შეძლეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროში სამუშაოების დასრულება, რის გამოც დაეკისრათ პირგასამტეხლო. გარდა ამისა, ღონისძიებების ნაწილში შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზისა და ხარისხის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაგვიანებით წარმოდგენის გამო ვერ მოხდა ანაზღაურების განხორციელება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 82,2 %

ქვეპროგრამის - ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 12 975,8 ათას ლარს, შესრულება - 11 423,8 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში დასრულდა 17 ხიდის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა 236 საყრდენი კედლის მოწყობა, ხოლო 1 საყრდენი კედლის მშენებლობის სამუშაოები შეჩერდა სტიქიის გამო.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა 25 დამცავი ნაგებობის და წყალარინების მოწყობის სამუშაოები.

15 საყრდენი კედლისა და 10 დამცავი ნაგებობისა და წყალარინის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა ვერ განხორციელდა, რადგან არ შედგა ელექტრონული ტენდერი.

ასევე სამშენებლო სამუშაოების წარმოება შეაფერხა აგვისტოსა და სექტემბრის თვეში ცუდმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა. გარდა ამისა, სამუშაოების შეფერხება განპირობებული იყო საანგარიშო პერიოდში ადგილობრივ ბაზარზე არსებული ცემენტობეტონის დეფიციტითა და კვარტალური ფასების ცვლილებით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 88,0 %

ქვეპროგრამის - საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 17 285,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 13 837,4 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია ავტომობილებისა და საგზაო ტექნიკის მიმდინარე რემონტის სათადარიგო ნაწილები, მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ხელსაწყოები;

ბეტონის საფარის მოსაწყობად შეძენილია მონოლითური ბეტონი და სხვა სამშენებლო მასალები;

განხორციელებულია გზების წმენდა ჩამონაშალებისაგან და თოვლის საფარისაგან;

შეძენილია ოთხი სპეციალიზებული კლასის ავტომანქანა (პიკაპი);

შეძენილია 2 მაღალი გამავლობის სატვირთო თვითმცლელი;

განხორციელებულია გზების მოხრეშვა, მოშანდაგება და პროფილირება;

განხორციელებულია ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები;

შეძენილია საწვავ-საპოხი მასალები;

განხორციელდა გზების ორმული შეკეთება;

განხორციელებულია ავტოტრანსპორტის დაზღვევა;

შეძენილია მილები;

შეძენილია სპეცტანსაცმელი;

შეძენილია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საავტომობილო გზებზე დადგმულია საგზაო-საინფორმაციო ნიშნები; შეძენილია საგზაო სარკეები და საგზაო დამცავი ბარიერები;

განხორციელებულია მოვლა-შენახვის ღონისძიებაზე დასაქმებულთა შრომითი უსაფრთხოების დაზღვევა;

განხორციელებულია ავტომანქანების თანამგზავრული თვალთვალის მომსახურება;

გაცემულია საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებაზე აყვანილი მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება;

განხორციელდა მუნიციპალიტეტებში არსებული ოფისების, დამხმარე შენობების და სამეურნეო ეზოების კეთილმოწყობა/რეაბილიტაცია/მშენებლობა;

განხორციელებულია მუნიციპალიტეტებში არსებული ოფისებისა და სამეურნეო ეზოების ინტერნეტიზაცია.

განხორციელებულია ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ზედამხედველობის მომსახურება;

დეპარტამენტის საჭიროებიდან გამომდინარე დაქირავებული ტექნიკით შესრულებული იქნა სამუშაოები.

მონოლითური ბეტონის შესყიდვასთან დაკავშირებით კომპანიების მიერ ვერ მოხდა დროულად ლაბორატორიული დასკვნების წარმოდგენა, რამაც შეაფერხა ანგარიშსწორების პროცედურები. გარდა ამისა, ერთ-ერთი კომპანიის მიერ ვერ

მოხერხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მზა ბეტონის სრულადა მოწოდება, რის გამოც პირგასამტეხლოს დაკისრების ფონზე შეწყდა ხელშეკრულება. ასევე ვერ განხორციელდა სპეცტექნიკის შეძენა საბაზრო ფასების ცვლილების გამო. ქობულეთის, ქედისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში მონოლითური ბეტონის შესყიდვაზე რამდენჯერმე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 80,1 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2021 წელს განათლების მიმართულებით ახორციელებს ხუთ პროგრამას: საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინვენტარით აღჭურვა და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ზოგადი და პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება, საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურება, გაძლიერებული (მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა.

პროგრამა - საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინვენტარით აღჭურვა და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 15 983,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 13 901,8 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს 13 და დასრულებულინ 1 საჯარო სკოლის მშენებლობა, სულ გაწეული 7 695,7 ათასი ლარი. ხოლო 4 საჯარო სკოლაზე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები.

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ განახლების საჯარო სკოლა (მშენებლობა 2019-2022 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ბილდ მენეჯმენტი“), რომელიც დაფინანსებულია 460,5 ათასი ლარით. აშენებულია სამ სართულიანი შენობა, მიმდინარეობს შენობისა და ტერიტორიის კეთილმოწყობითი სამუშაოები.

სსიპ ნადიმ ართმელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბეღლეთის საჯარო სკოლა (მშენებლობა 2019-2022 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ბალავარი ჯგუფი“, რომელიც დაფინანსებულია 534,8 ათასი ლარით. აშენებულია სამ სართულიანი შენობა, დასრულებულია შენობის გადახურვა და მიმდინარეობს ფასადისა და შიდა მოპირკეთების სამუშაოები.

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კალოთის საჯარო სკოლა (მშენებლობა 2021-2022 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „პლაზმა“, დასრულებულია საძირკვლის მოწყობის სამუშაოები, რომელიც დაფინანსებულია 113,4 ათასი ლარით.

სსიპ დაბა შუახევის საჯარო სკოლის მშენებლობა (2019-2022 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ნიკა“, რომელიც დაფინანსებულია 859,7 ათასი ლარით. აშენებულია სამ სართულიანი შენობა, დასრულებულია შენობის გადახურვის სამუშაოები და მიმდინარეობს ფასადისა და შიდა მოპირკეთების კეთილმოწყობითი სამუშაოები.

სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლის ძირითადი კორპუსის ნაწ/რეაბილიტაცია და სპორტული დარბაზის მშენებლობა (2019-2022 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ნევ სტაილ ბილდინგი“, რომელიც დაფინანსებულია 318,2 ათასი ლარით. დასრულდა სპორტული დარბაზის მშენებლობა, მიმდინარეობს გადახურვის სამუშაოები. სკოლის შენობის რეაბილიტაცია დასრულებულია.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედის საჯარო სკოლის მშენებლობა (2019-2022 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ვექტორი“, აშენებულია სამ სართულიანი შენობა. დაფინანსებულია 12,9 ათასი ლარის სამუშაოები. ხელშეკრულება შეწყვეტილია მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო და გამოცხადდა ახალი ტენდერი. ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობს შენობის კეთილმოწყობის სამუშაოები (2022 წელი).

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლის მშენებლობა (2019-2022 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მტმ“-ი, რომელიც დაფინანსებულია 1 018,7 ათასი ლარით. აშენებულია ოთხ სართულიანი შენობა. მიმდინარეობს ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლის სპორტული და სააქტო დარბაზის მშენებლობა, ძირითადი კორპუსის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (2019-2022 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ნიკა“ - ძირითადი შენობის რეაბილიტაციის ნაწილში და შპს „მშენებელი 2016“ - სპორტული და სააქტო დარბაზის მშენებლობის ნაწილში, რომლებიც ჯამში დაფინანსებულია 694,3 ათასი ლარით. (შესაბამისად 580,0 ათასი ლარი და 114,3 ათასი ლარი) დასრულებულია სპორტული და სააქტო დარბაზის შენობის მშენებლობა. მიმდინარეობს სპორტული და სააქტო დარბაზის ძირითადი შენობის კეთილმოწყობითი სამუშაოები.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლის ძირითადი კორპუსის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და სპორტული დარბაზის მშენებლობა (2021-2022 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ძმები“, რომელიც დაფინანსებულია 36,3 ათასი ლარით. განხორციელდა სპორტდარბაზის საძირკვლის სამუშაოები.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის საჯარო სკოლის მშენებლობა (2020-2023 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ქრიათივ ინფრეშენს კავკასუსი“, რომელიც დაფინანსებულია 151,2 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სკოლის ძველი შენობის დემონტაჟი და საძირკვლის მოწყობის მიზნით მიწის სამუშაოები. ხელშეკრულება შეწყვეტილია მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო და გამოცხადდა ახალი ტენდერი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზენითის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის მშენებლობა (2020-2021 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „დიდა“, რომელიც დაფინანსებულია 607,5 ათასი ლარით. აშენებულია სპორტული დარბაზი. დასრულებულია კეთილმოწყობითი სამუშაოები.

სსიპ ქ. ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის არსებული კორპუსის ნაწ/რეაბილიტაცია და მეორე კორპუსის მშენებლობა (2019-2022 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ალიგატორი პროვაიდერ ჯორჯია“, რომელიც დაფინანსებულია 1 378,4 ათასი ლარით. აშენებულია სამ სართულიანი შენობა, დასრულებულია ფასადისა და შიდა სამუშაოების კეთილმოწყობა, მიმდინარეობს ტერიტორიის კეთილმოწყობა.

სსიპ ქ. ბათუმის N15 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია (2021-2023 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ალიგატორი“, რომელიც დაფინანსებულია 225,6 ათასი ლარით. დასრულებულია საძირკვლისა და კონსტრუქციული სამუშაოების ნაწილი.

სსიპ ქ. ბათუმის N23 საჯარო სკოლის მშენებლობა (2019-2022 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ალიგატორი 1“, რომელიც დაფინანსებულია 1 284,2 ათასი ლარით. აშენებულია ოთხ სართულიანი შენობა, დასრულებულია შიდა და გარე ფასადის კეთილმოწყობის სამუშაოები. მიმდინარეს ტერიტორიის კეთილმოწყობა.

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლის ძირითადი და საძილე კორპუსების, სპორტული დარბაზის რეკონსტრუქცია/მშენებლობა/რეაბილიტაცია (მშენებლობა 2021-2023 წწ). მომზადებულია პროექტი, მიმდინარეობს მიწის ნაკვეთების გაერთიანების და პროექტის შეთანხმების პროცესი, რომლის დასრულების შემდეგ გამოცხადდება ტენდერი.

სსიპ ბათუმში ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა (მშენებლობა 2021/2023 წწ). პროექტი შესყიდულია. მიმდინარეობს მშენებლობის ნებართვის მოპოვების პროცესი, რის შემდეგაც გამოცხადდება ტენდერი.

სსიპ ბათუმის N14 საჯარო სკოლის არსებული კორპუსის ნაწ/რეაბილიტაცია და დამატებითი კორპუსის მშენებლობა (2021-2023წწ). პროექტი მომზადების სტადიაშია, რომლის დასრულების შემდეგ გამოცხადდება ტენდერი.

სსიპ ბათუმის N16 საჯარო სკოლის მშენებლობა (2021-2023წწ). მიმდინარეობს მშენებლობის ნებართვის მოპოვების პროცესი, რის შემდეგაც გამოცხადდება ტენდერი.

საანგარიშო პერიოდში დასრულებულია 33 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, მიმდინარეობს 6 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, ხოლო 2 საჯაროს სკოლის რეაბილიტაცია არ განხორციელდა. სულ გაწეულია 5 003,1 ათასი ლარი.

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიაკონიძეების საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „მშენებელი 2016“, რომელიც დაფინანსებულია 96,6 ლარით. დასრულდა შენობის გამაგრების, სახურავისა და ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები.

სსიპ ამირან მამალაძის სახელობის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარათაულის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „სისაიდ ჯგუფი“, რომელიც დაფინანსებულია 169,0 ათასი ლარით. შეიცვალა სახურავი, ფანჯრები. დასრულდა ფასადის მოპირკეთების სამუშაოები.

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ სხეფის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა „სისაიდ ჯგუფი“, რომელიც დაფინანსებულია 90,0 ათასი ლარით. შეიცვალა სახურავი. დასრულდა შიდა ფართებისა და ფასადის რეაბილიტაცია.

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „სისაიდ ჯგუფი“, რომელიც დაფინანსებულია 44,0 ათასი ლარით. დასრულდა სკოლის ეზოში ფერდსამაგრი კედლის მოწყობა.

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „სისაიდ ჯგუფი“, რომელიც დაფინანსებულია 247,6 ათასი ლარით. დასრულდა შენობის პირველი სართულის სრული რეაბილიტაციის და ფასადის მოპირკეთების სამუშაოები.

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაკიძეების საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „მშენებელი 2016“, რომელიც დაფინანსებულია 42,3 ათასი ლარით. დასრულდა სკოლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები.

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეების საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა ი/მ გუა გულედანი, რომელიც დაფინანსებულია 18,0 ათასი ლარით. დასრულდა სკოლის მეორე სართულზე შეკიდული ჭერის მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „მშენებელი 5“, რომელიც დაფინანსებულია 92,7 ათასი ლარით. დასრულდა ახალი ღია სპორტული მოედნის მოწყობა.

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ახოს N1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „მშენებელი 2016“, რომელიც დაფინანსებულია 168,5 ათასი ლარით. დასრულდა სკოლის შენობის ფასადის მოპირკეთება და სველი წერტილების რეაბილიტაცია, ასევე ამწე ლიფტის მონტაჟი.

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგნის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „მშენებელი 5“, რომელიც დაფინანსებულია 127,8 ათასი ლარით. დასრულდა სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ყოროლისთავის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „დიასი“, რომელიც დაფინანსებულია

70,0 ათასი ლარით. დასრულდა სკოლის სახურავის რეაბილიტაციისა და შშმ პირთა საპირფარეშოს მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭარისწყლის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „მშენებელი 5“, რომელიც დაფინანსებულია 38,7 ლარით. დასრულდა სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მახოს საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა ი/მ გუა გულედანი, რომელიც დაფინანსებულია 30,0 ათასი ლარით. დასრულდა გათბობის სისტემის რეაბილიტაცია.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „777“, რომელიც დაფინანსებულია 21,5 ათასი ლარით. დასრულდა გათბობის სისტემის რეაბილიტაცია.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლის სპორტდარბაზის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „ბზა“, რომელიც დაფინანსებულია 7,7 ათასი ლარით, განხორციელდა კედლის სამუშაობის ნაწილი. ექსპერტიზის დასკვნის შედეგად დადგინდა, რომ სპორტდარბაზი ექვემდებარება დემონტაჟს. მოხდება ახალი დარბაზის აშენება.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ქვედა ახალშენის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „ბზა“, რომელიც დაფინანსებულია 49,9 ათასი ლარით, დასრულდა სკოლის პანდუსის და შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბრის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „დიდა“, რომელიც დაფინანსებულია 155,7 ლარით. დასრულებულია ღია სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.

სსიპ ჯემალ ქათამაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა კომპანია შპს „დიდა“, რომელიც დაფინანსებულია 152,8 ათასი ლარით, დასრულდა ფასადის და ღია მოედნის მოწყობის სამუშაოები.

სსიპ რაულ მჟავანაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვას N2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „დიდა“, რომელიც დაფინანსებულია 101,8 ლარით. დასრულებულია ღია სპორტული მოედნის მოწყობა.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეს საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „დიდა“, რომელიც დაფინანსებულია 112,7 ათასი ლარით. დასრულდა ლიფტის მონტაჟისა და სპორტდარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს #2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 121,3 ათასი ლარით. დასრულდა შენობის სახურავის რეაბილიტაცია.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლის ძირითადი და საბაზო კორპუსის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „დიდა“, რომელიც დაფინანსებულია 316,7 ათასი ლარით. ძირითად კორპუსში დასრულდა საქვაბის შენობის მშენებლობა და აღჭურვა. საბაზო კორპუსში დასრულდა პირველი და მეორე სართულის რეაბილიტაცია.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სკურას საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 85,2 ათასი ლარით. დასრულდა შენობის სახურავისა და ფასადის რეაბილიტაცია.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 103,5 ათასი ლარით. დასრულდა შენობის სახურავის რეაბილიტაცია.

სსიპ ზვიად დავითაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაღელეს საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „დიდა", რომელიც დაფინანსებულია 60,6 ათასი ლარით. დასრულდა გათბობის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა აჭყვას საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 18,5 ათასი ლარით. დასრულდა შენობის შიდა სარემონტო სამუშაოები.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობოყვათის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „როდა“, რომელიც დაფინანსებულია 124,2 ათასი ლარით. დასრულდა სკოლის ტერიტორიის კეთილმოწყობის, სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამების საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „თეთრები“, რომელიც დაფინანსებულია 92,5 ათასი ლარით. დასრულდა სკოლის ტერიტორიის კეთილმოწყობა და სპორტდარბაზის რეაბილატია.

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის N1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „დიასი 2007“, რომელიც დაფინანსებულია 10,0 ათასი ლარით, დასრულდა სახურავის ხის სანივნივე სისტემის გამაგრება.

სსიპ ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „დიასი 2007“, რომელიც დაფინანსებულია 109,0 ათასი ლარით, პირველ და მეორე კორპუსებზე შეიცვალა სახურავი, დასრულდა შშმ პირთა საპირფარეშოს მოწყობა.

სსიპ ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „დიასი 2007“, რომელიც დაფინანსებულია 127,6 ათასი ლარით, დასრულდა შშმ პირთა საპირფარეშოების და პანდუსების მოწყობა.

სსიპ ქალაქ ბათუმის N11 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „მოდერნ ბილდინგ კომპანი“, რომელიც დაფინანსებულია 72,2 ათასი ლარით, დასრულდა საქვაბის მშენებლობა.

სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა შპს „მშენებელი 2016“, რომელიც დაფინანსებულია 288,0 ათასი ლარით. დასრულებულია სახურავის რეაბილიტაცია და ფასადის კეთილმოწყობა.

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოებს ახორციელებს ი/მ გუა გულედანი, რომელიც დაფინანსებულია 265,0 ათასი ლარით. დასრულდა სახურავის რეაბილიტაცია და მიმდინარეობს ღია სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები. თანხა გადახდილია ავანსად.

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგინაურის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოებს ახორციელებს „სისაიდ ჯგუფი“, რომელიც დაფინანსებულია 110,4 ათასი ლარით. მიმდინარეობს შენობის ფასადის მოპირკეთება და სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები. თანხა გადახდილია ავანსად.

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოს საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოები განახორციელა ი/მ გუა გულედანი, რომელიც დაფინანსებულია 179,5 ათასი ლარით. დასრულდა სკოლის სახურავის რეაბილიტაცია და მიმდინარეობს ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები. თანხა გადახდილია ავანსად.

სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მშენებელთა ჯგუფი“, რომელიც დაფინანსებულია 482,6 ათასი ლარით, დასრულდა შენობის ფასადის რეაბილიტაცია და მიმდინარეობს სახურავის რეაბილიტაცია. თანხა გადახდილია ავანსად.

სსიპ ქალაქ ბათუმის N9 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მოდერნ ბილდინგ კომპანი“, რომელიც დაფინანსებულია 484,2 ათასი ლარით, განხორციელდა სველი წერტილების მოწყობა, მიმდინარეობს ფასადის სამუშაოები. თანხა გადახდილია ავანსად.

სსიპ ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მოდერნ ბილდინგ კომპანი“, რომელიც დაფინანსებულია 114,8 ათასი ლარით, მიმდინარეობს ფასადის სამუშაოები. თანხა გადახდილია ავანსად.

ხოლო ორი სკოლის რეაბილიტაცია არ განხორციელდა: კერძოდ, სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - პროექტირების პროცესში გადაწყდა, რომ მიზანშეწონილი იყო შენობის რეკონსტრუქცია, რაც გაცილებით დიდი მოცულობის პროექტია და მიმდინარეობს პროექტის მომზადება. სამუშაოები გათვალისწინებულია 2022 წელს. სსიპ ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - სკოლის სრული რეაბილიტაცია დაიგეგმა მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ.

გაწეულია ოცდათოთხმეტი საჯარო სკოლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე და ასევე ქედის მუნიციპალიტეტში არსებულ საჯარო სკოლებში მზის მიკრო ელექტროსადგურის პანელების მონტაჟის პროექტის შესყიდვაზე 962,1 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებასა და მივლინებაზე გაწეულია 53,2 ათასი ლარი.

გაწეულია ტექნიკურ ზედამხედველობასა და ექსპერტიზაზე 172,7 ათასი ლარი, ხოლო საავტორო ზედამხედველობაზე 15,0 ათსი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 87,0 %

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 932,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 380,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია 15 საჯარო სკოლისთვის მხატვრული ლიტერატურა თანხით 93,8 ათასი ლარი.

10 საჯარო სკოლა აღჭურვილია სპორტული ინვენტარით თანხით 53,3 ათასი ლარი.

5 საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია ფიზიკის ელექტრონული ლაბორატორიით თანხით 25,0 ათასი ლარი.

4 საჯარო სკოლა აღჭურვილია ტექნოლოგიების კომპლექტით თანხით 130,3 ათასი ლარი.

10 საჯარო სკოლა აღჭურვილია მუსიკალური ინსტრუმენტების კომპლექტით თანხით 54,6 ათასი ლარი.

განხორციელდა ერთი საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის რემოდელირება - მოეწყო სსიპ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის საბიბლიოთეკე სივრცე ბიბლიოთეკის რემოდელირებით თანხით 21,2 ათასი ლარი.

განხორციელდა სასკოლო ინვენტარის ტრანსპორტირება თანხით 2,6 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის თანხის აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია იმის გამო, რომ შპს „ტიფანის“-თან სასკოლო ინვენტარის მოწოდების მიზნით კონსოლიდირებულ ტენდერის (CON210000435) ფარგლებში 2021 წლის 20 ოქტომბერს დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N150 ხელშეკრულება 280,0 ათას ლარზე. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ტიფანის“ მიერ მოწოდებულია მხოლოდ 421 კომპლექტი სასკოლო მერხი და სკამი, რომელთა ტრანსპორტირებაც სამინისტრომ თბილისიდან ბათუმში განახორციელა შპს

„პეგასუს ჯორჯიასთან“ 2021 წლის 14 დეკემბერს გაფორმებული N185 ხელშეკრულების საფუძველზე. 2021 წელს შპს „ტიფანიმ“ ვერ მოასწრო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის სრულად მოწოდება, ამასთანავე დასრულდა საბიუჯეტო წელი და სამინისტრომ ვერ მოახერხა უკვე ნაწილობრივ მოწოდებული საქონლის ღირებულების გადარიცხვა, რის გამოც აღნიშნულ კომპონენტში დარჩა აუთვისებელი თანხა. ამასთან 185,0 ათასი ლარი წარმოადგენს კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ეკონომიას.

გარდა ამისა ქვეპროგრამაში 71,0 ათასი ლარი წარმოადგენს ტენდერების შედეგად მიღებულ ეკონომიას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 40,9 %

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 3 850,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 3 841,9 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა თანხით 3 825,9 ათასი ლარი. გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 16,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,8 %

პროგრამა - აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას: სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“, სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“ და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი.

ქვეპროგრამის - სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 119,3 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 1 110,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საქმიანობა - თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება - 989,2 ათასი ლარი. საანაგრიშო პერიოდისათვის უნივერსიტეტმა უზრუნველყო 55 სტუდენტის გაგზავნა სასწავლო პრაქტიკაზე გერმანიაში, რაზეც გაწეულია 71,0 ათასი ლარი. შეძენილია ახალი

სასწავლო კორპუსის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რაზეც გაწეულია 50,0 ათასი ლარი.
ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,2 %

ქვეპროგრამის - სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 800,0 ათას ლარს,ხოლო ხარჯი კი - 800,0 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა მრავალფუნქციური ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედნისა (ფეხბურთი, კალათბურთი და ფრენბურთი) და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, რაზეც გაწეულია 476,7 ათასი ლარი. შეძენილი იქნა სასწავლო სიმულატორები და მასთან დაკავშირებული შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა, რაზეც გაწეულია 223,3 ათასი ლარი.

საანაგრიშო პერიოდისათვის აკადემიამ სრულფასოვან, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამის 6 თვიან საზღვაო პრაქტიკით უზრუნველყო 18 სტუდენტის გაგზავნა. გაწეულია 100,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 040,0 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 1 040,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

დაფინანსებულია უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელების მიზნით პროფესორ მასწავლებელების შრომის ანაზღაურება - 1 000,0 ათასი ლარი.
უნივერსიტეტის ტელე-რადიო ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამის და კინო-ტელე ხოლოვნების დეპარტამენტის სასწავლო ბაზის გაუმჯობესების მიზნით შეძენილი იქნა პორტატული ლედ სანათი ავტომატური კვებით, რბილი სტუდიური განათება -განათების შტატივი, ბუმის მიკროფონები და აუდიო ხმის ჩამწერები, რაზეც გაწეულია 40,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერისტეტის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 298,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი კი 270,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა კომუნალური ხარჯების დაფარვა თანხით 123,4 ათასი ლარი. შენობის კეთილმოწყობის სამუშაოებზე გაწეულია 146,6 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 90,4 %

პროგრამა - ზოგადი და პროფესიული განათლება მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 420,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 280,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მაღალმთიანი აჭარის (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში არსებული სხვადასხვა საგნის მასწავლებლის დეფიციტის შესავსებად სულ დასაქმებულია 27 პედაგოგი, რაზეც გაწეულია 260,9 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაჯილდოვდა 65 წარმატებული მასწავლებელი, თანხით 19,5 ათასი ლარი.

139,6 ათასი ლარის ეკონომია ძირითადად წარმოქმნილია სოციალურად დაუცველი ოჯახების მოსწავლეებისათვის პლანშეტური კომპიუტერების გადაცემის კომპონენტში გამომდინარე იქედან, რომ მარტში სასწავლო პროცესი განახლდა სასკოლო სივრცეში და ის გამოწვევა აღარ იყო, რაც ახლდა დისტანციურ სწავლებას, აღნიშნული შესყიდვა შეჩერებული იქნა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 66,8 %

ქვეპროგრამის - კონკურსები და ოლიმპიადები საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 155,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 145,3 ათასი ლარი.

დაფინანსდა სასკოლო ოლიმპიადა, ლიტერატურული მარათონი, სახვითი ხელოვნების კონკურსი, ესეების კონკურსი და სპორტული შეჯიბრი. თანხა გაწეულია 42,0 ათასი ლარი.

დაფინანსდა 6 სასკოლო კლუბის ინიციატივა-თანხით 9,7 ათასი ლარი.

ორგანიზება გაეწია პოლონელი მოსწავლეების და მასწავლებლების ვიზიტს აჭარაში, გაწეულია 22,8 ათასი ლარი.

ორგანიზება გაეწია ქართველი მოსწავლეების ვიზიტს პოლონეთში, გაწეულია 25,0 ათასი ლარი.

შეძენილი იქნა 99 ერთეული პლანშეტური კომპიუტერის (ტაბლეტის) 2019 წელს კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოვების მიზნით - 45,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 93,7 %

ქვეპროგრამის - პროფესიული განათლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 15,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 14,8 ათასი ლარი.

ჩატარდა 3 ტრენინგ მოდული: „სწავლების თანამედროვე მეთოდები პროფესიულ განათლებაში“, „კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება“, რომელშიც მონაწილეობდა 136 მსმენელი, რაზეც გაწეულია 14,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,7 %

პროგრამა - უმაღლესი განათლება მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სტუდენტთა დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 400,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 373,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა 1 266 ბენეფიციარის სწავლება თანხით 1 366,1 ათასი ლარი.

ქვეროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ფარგლებში დაფინანსდება 48 წარჩინებულ სტუდენტთან შეხვედრის ორგანიზების მომსახურების შესყიდვა, რაზეც გაწეულია 7,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,1 %

ქვეპროგრამის - უმაღლესი განათლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს შეადგენს 180,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 105,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სამი კონფერენცია თანხით 44,1 ათასი ლარი:

დაფინანსდა ოთხი სეზონური სკოლა თანხით 45,7 ათასი ლარი;

დაფინანსდა საგრანტო კომისიის მიერ შერჩეული სამი სამეცნიერო სახელმძღვანელოს ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვა თანხით 15,5 ათასი ლარი.

ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, კონფერენციები და სეზონური სკოლები გადავიდნენ ონლაინ ფორმატზე, რამაც გამოიწვია ქვეპროგრამაში ეკონომია. ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 58,5 %

ქვეპროგრამის - ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 10,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 6,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 6 სტუდენტის ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე STEM (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, მათემატიკა) მიმართულებით.

აუთვისებლობა გამოწვეულია იმით, რომ ვერ მოხდა 4 სტუდენტის შერჩევა და დაფინანსება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 60,0 %

ქვეპროგრამის - სწავლა საზღვარგარეთ საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 770,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 710,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 36 სტუდენტის სწავლა საზღვარგარეთ თანხით 665,0 ათასი ლარით.

დაფინანსდა 6 უცხოელის სტაჟირება თანხით 30,0 ათასი ლარი.

6 უცხოელ სტაჟიორს ჩაუტარდათ ქართული ენის კურსები, სულ გაწეულია 2,2 ათასი ლარი.

გაწეულია კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 13,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 92,3 %

პროგრამა - საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურება, გაძლიერებული (მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 666,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 400,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლები: სსიპ „სოფელ სალიბაურის საჯარო სკოლა“, სსიპ „ჩაისუბნის N2 საჯარო საკოლა“, სსიპ „ქედის მუნიციპალიტეტის ფრიდონ თურმანიძის სახელობის სოფელ მერისის საჯარო სკოლა“ და სსიპ „დაბა შუახევის საჯარო სკოლა“ დაფინანსდა 400,9 ათასი ლარით, რაც ძირითადად მოიცავს ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებას და მიმდინარე ხარჯებს. საპანსიონო მომსახურება კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის ღონისძიებების გათვალისწინებით 2021 წლის გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეჩერებული იყო. სასწავლო პროცესის სასკოლო სივრცეში განახლების მიუხედავად, საპანსიონო მომსახურება კვლავ შეჩერებული იყო და განახლდა 2021 წლის

აპრილის თვიდან, როცა ქვეყანაში ეპიდსიტუაცია დასტაბილურდა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 60,1 %

ქვეპროგრამის - გაძლიერებული (მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 499,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 339,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქ.ბათუმის N26 საჯარო სკოლაში ინკლუზიური სწავლება განხორციელდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 40 მოსწავლისათვის. სსიპ ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლაში განხორციელდა შემოქმედებითი უნარების განვითარება-არტ-თერაპია და ინკლუზიური სპორტი მხედველობის დარღვევის მქონე 5 მოსწავლისათვის. სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლაში განხორციელდა აუტისტური სპექტრის 4 მოსწავლისათვის საგანამანათლებლო მომსახურება - შშმ მოსწავლეები სასწავლო პროცესის განმავლობაში უზრუნველყოფილი არიან მათვის საჭირო სასწავლო საგანმნათლებლო მომსახურებით. სულ გაწეულია 325,8 ათასი ლარი.

სსიპ ქალაქ ბათუმის გაძლიერებული ფიზიკა-მათემატიკის N6 საჯარო სკოლის ბაზაზე - მიმდინარეობს მათემატიკის გაძლიერებული, ინტენსიური შესწავლა თანამედროვე, საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდებით.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 13,2 ათასი ლარი.

2021 წლის პირველ და მესამე კვარტალში ინკლუზიურ ჯგუფებთან სწავლის პროცესი ონლაინ რეჟიმით მიმდინარეობდა, რამაც გამოიწვია გეგმის აუთვისებლობა. სწავლის პროცესი საკლასო ოთახებში განახლდა 2021 წლის აპრილის თვიდან. ხოლო სსიპ ქალაქ ბათუმის გაძლიერებული ფიზიკა-მათემატიკის N6 საჯარო სკოლის საწავლის პროცესი დაიწყო 15სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე ონლაინ რეჟიმში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 67,9 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2021 წელს კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაციის მიმართულებით ახორციელებს ოთხ პროგრამას.

პროგრამა - კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - კულტურის ღონისძიებების ორგანიზება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 855,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 374,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყო რეგიონში ხელოვნებისა და კულტურის 6 ღონისძიების ორგანიზების უზრუნველყოფას თანხით 59,7 ათასი ლარი:

ტურისტული სეზონის გახსნა მასშტაბური ფრანების შოუ - 20,0 ათსი ლარი.

ტურისტული სეზონის გახსნა „მოძრაობის თეატრი“ ზღვის თემატიკით და ილუზიონისტის შოუ -10,0 ათსი ლარი.

ტურისტული სეზონის გახსნა ქობულეთში ფრანების შოუ - 10,0 ათსი ლარი.

ტურისტული სეზონის გახსნა ქობულეთში „მოძრაობის თეატრი" ზღვის თემატიკით და ილუზიონისტის შოუ - 5,0 ათსი ლარი.

პროექტი - ,,აჭარის რადიოს არქივში დაცული ისტორიული ღირებულების მქონე ჩანაწერების შესწავლა, დამუშავება და გამოცემა“ – 10,4 ათასი ლარი.

პროექტი - ლიტერატურული კონკურსი „პეგასი“ – 4,3 ათასი ლარი.

დაფინანსდა ფესტივალების საგრანტო კონკურსი, შემოვიდა 15 განაცხადი, დაფინანსდა 11 პროექტმა. კერძოდ: გაწეულია 273,8 ათასი ლარი.

1. „BIAFF 2021“ - საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი - 39,1 ათასი ლარი.

2. ბათუმის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო სტუდენტური ფესტივალი „LemON" - 30,0 ათასი ლარი.

3. ბათუმი არტ ფესტ „არგანი“-18,9 ათასი ლარი.

4. „გურამ თამაზაშვილის სახელობის ქალაქური სიმღერების ფესტივალი“-35,0 ათასი ლარი.

5. სტუდენტური თეატრების საერთაშორისო ფესტივალი „დებიუტი“-17,2 ათასი ლარი.

6. საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“- 25,0 ათასი ლარი.

7. ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“- 20,0 ათასი ლარი.

8. ფესტივალი „მოგზაურობა ოპერის სამყაროში“- 9,0 ათასი ლარი.

9. „ბათუმის მონოდრამის საერთაშორისო ფესტივალი“- 24,8 ათასი ლარი.

10. ქუჩის ხელოვნების ფესტივალი - „ნიკო 2021“- 24,8 ათასი ლარი.

11. ფესტივალი „პირველი ავტოგრაფი“- 30,0 ათასი ლარი.

კულტურის სფეროს ღვაწლმოსილი, იუბილარ მოღვაწეთათვის გაცემულია ერთჯერადი ფულადი ჯილდო - 22,5 ათასი ლარი.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 15,6 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ფარგლებში განხორციელდა სასაჩუქრე ბრენდირებული ბლოკნოტის სასტამბო წესით დამზადება-მოწოდება - 3,3 ათასი ლარი.

აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო, კერძოდ, სარეკომენდაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დროებით შეჩერებული იყო მასობრივი კულტურული ღონისძიებები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 43,8 %

ქვეპროგრამის - კულტურის თანამედროვე მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 300,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 242,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

განხორციელდა 25 თავისუფალი პროექტი თანხით 234,4 ათასი ლარი.

„უსინათლო პირების თანაბარი და დისტანციური ხელმისაწვდომობა აჭარის არამატერიალური კულტრული მემკვიდრეობის ნიმუშებზე“ – 9,9 ათასი ლარი;

„ლაბორატორია 2/20“ ხელოვანების: მხატვრების, რეჟისორების და მუსიკოსების კოლაბორაცია - 9,9 ათასი ლარი.

საქართველოს კულტურის ხელშეწყობის და განვითარების ფონდი - გიორგი გუგუშვილი „მეგობრობის პალიტრა“ თბილისის და ბათუმელი მხატვრების დისტანციური პლენერი - 9,9 ათასი ლარი;

„უძველესი კოლხეთის კულტურული მემკვიდრეობა, დანახული 21 საუკუნის ბავშვების თვალით“ - 8,8 ათასი ლარი;

სპექტაკლი - „ვთამაშობთ სტრინდბერგ“- 10,0 ათასი ლარი;

მასტერკლასი სახელოვნების სფეროს წარმომადგენლებისათვის - 9,9 ათასი ლარი;

„ერთი მაყურებლის თეატრი“ საქველმოქმედო ფონდი „ჰარმონია“ - კახაბერ ფირცხალაიშვილი „ერთი მაყურებლის თეატრი“ – 10,0 ათასი ლარი;

„კერამიკის ალქიმია“ სოციალური საწარმოს შექმნა და გამოფენა შშმ ხელოვანების ინტეგრირებით - 10,0 ათასი ლარი;

„მე, ფოიერბახი“- 8,8 ათასი ლარი;

„ჩვენ ვირჩევთ მოდას“- 9,9 ათასი ლარი;

„შეჭრა“ მარინა ბურდულის მონაწილეობით 10,0 ათასი ლარი;

„ერთი სოფლის ამბავი“ (სპექტაკლი) – 7,4 ათასი ლარი;

გაუზიარე ქოეოგრაფიული ცოდნა - 10,0 ათასი ლარი;

„კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ - 7,0 ათასი ლარი;

„ახალგაზრდა შემოქმედთა სინთეზი“- 9,9 ათასი ლარი;

„აჭარული ორნამენტების ციფრული კატალოგი“- 10,0 ათასი ლარი;

ვიდეოკლიპის გადაღება -„გამარჯობა გენაცვალე“- 10,0 ათასი ლარი;

„ფიროსმანის ოცნება“ – 7,6 ათასი ლარი;

„კინო ქაღალდზე“ – 9,4 ათასი ლარი;

„ART კვარტალი“ იოსებ ჯორბენაძე - „ქუჩის არტ ხელოვნება“ - 10, 0 ათასი ლარი;

„ძალა მრავალფეროვნებაშია“- 10,0 ათასი ლარი;

„მეთორმეტე მოთამაშე“ - 7,4 ათასი ლარი;

„შემდეგი გააჩერება ზემო აჭარა“- 8,8 ათასი ლარი;

„ხელოვნება საზღვრებს გარეშე“ – 10,0 ათასი ლარი.

„სამეცნიერო- თეორიული და პრაქტიკული კონფერენცია“ – 9,8 ათასი ლარი.

განხორციელდა 5 სახვითი, გამოყენებითი და მულტიმედიური ხელოვნების მხარდაჭრის პროექტი თანხით 8,4 ათასი ლარი:

ნანული ყუშუბაძე-გვარიშვილი პერსონალური გამოფენისთვის ნამუშევრების ჩარჩოების დამზადება - 0,8 ათასი ლარი;

ნანული ყუშუბაძე- გვაიშვილი საგამოფენო კატალოგის გამოცემა - 1,8 ათასი ლარი;

ლუკა ბესელიას პერსონალური გამოფენისათვის ნამუშევრების ჩარჩოების დამზადება - 1,0 ათასი ლარი;

მხატვრების - გუგა ხალვაშის, ირინა ტორონჯაძის და კობა ხოფერიას პერსონალური გამოფენებისთვის ნამუშევრების ჩარჩოების დამზადება - 2,3 ათასი ლარი;

დაიბეჭდა ჯიმსონ გურგენიძის წიგნი ალბომი - ჯიმსონ გურგენიძე - 2,5 ათასი ლარი;

გეგმასა და ფაქტს შორის 57,2 ათასი ლარის აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია თავისუფალი ინიციატივების საგრანტო კონკურსის ფარგლებში ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი ფაქტიური ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესაბამისად, ასევე ა(ა)იპ ახალგაზრდები მომავლისათვის განცხადების საფუძველზე შეუწყდა საგრანტო ხელშეკრულება (ა(ა)იპ ახალგაზრდები მომავლისათვის პროექტს - აჭარა და რეგიონალური თანამშრომლობა. ასევე სახვითი, გამოყენებითი და მულტიმედიური ხელოვნების მხარდაჭერის ფარგლებში, პანდემიის გამო არ შემოვიდა პროექტები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 80,9 %

პროგრამის - არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 130,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 64,0 ათასი ლარი.

განხორციელდა 5 მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრებთან არსებული 11 ანსამბლის/შემსრულებლის სასცენო სამოსის და აქსესუარების შეძენა თანხით 34,3 ათასი ლარი.

მომზადდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოღვაწე რეწვის ქალ ოსტატთა წარმომჩენი და მათ მიერ დამზადებული რეწვის პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი საიმიჯო ვიდეო რგოლები - თანხით 16,0 ათასი ლარი.

ჩატარდა საოჯახო ანსამბლის კონკურსი, სადაც მონაწილეობა მიიღო 25 ანსამბლმა და 84-მა შემსრულებელმა. გამოვლინდა 6 გამარჯვებული. გაწეულია ხარჯი 8,9 ათასი ლარი.

პროგრამის მხარდაჭრის ფარგლებში განხორციელდა სასაჩუქრე ყაბალახების შეძენა თანხით 4,8 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული „საოჯახო ანსამბლების კონკურსის“ ტენდერი არ შედგა, რომელიც თავიდან გამოცხადდა. კონკურსი სექტემბრის ნაცვლად ნოემბრის ბოლოს ჩატარდა. შესაბამისად ვერ მოხერხდა საოჯახო ანსამბლების

ხელშეწყობის ფარგლებში კონკურსში გამარჯვებული ანსამბლებისთვის სასცენო სამოსის და მუსიკალური ინსტრუმენტების შესყიდვა. პანდემიის გამო ნაწილობრივ ვერ განხორციელდა ტრადიციული რეწვის განვთარების და პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიება. ასევე ტენდერების შედეგად მიღებულია ეკონომიები.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 49,2 %

პროგრამის - კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 175,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 29,8 ათას ლარს.

განხორციელდა რეჯიო კალაბრიას წიგნის VI საერთაშორისო გამოფენის მონაწილეთა საჰაერო ტრანსპორტირება - ტრანსფერით (იტალია). იტალიის რესპუბლიკაში, ქალაქ გენუის მერიაში (Palazzo Tursi) გაიმართა ექვსი ბათუმელი მხატვრის გამოფენა და აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „ხორუმის“ კონცერტი, აღნიშნიული ვიზიტის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ აკაკი ძნელაძემ და გენუის მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა ბარბარა გროსომ, ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც მომავალი კულტურული თანამშრომლობის შესახებ საერთო ინტერესის გამოხატვას გულისხმობს. გაწეულია 18,7 ათასი ლარი.

განხორციელდა პოლონეთში, ქვემო სილეზიაში ადრეული მუსიკის „May with Early Music” 30-ე საერთაშორისო ფესტივალზე, სამი ხელოვანი მონაწილეთათვის ავიაბილეთების შეძენა თანხით 3,3 ათასი ლარი.

დაფინანსდა თათია კობალაძის საერთაშორისო პროექტში The VOICE Kazakhstan (QAZAQSTAN Dauesy) მონაწილეობა თანხით 3,2 ათასი ლარი.

დაფინანსდა იზმირის მე-9 საერთაშორისო თეატრალური ფესტივალში ბათუმის ინკლუზიური დასის გასტროლი თანხით 4,6 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის აუთვისებლობა 145,2 ათასი ლარი ძირითადად გამოწვეულია იმით, დადეგმილი იყო საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა, რომელიც ქვეყანაში არსებული კოვიდ შეზღუდვების მიზეზით საანგარიშო პერიოდისთვის ვერ განხორციელდა.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 17,0 %

პროგრამის - კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 500,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 150,5 ათას ლარს.

განხორციელდა სახელოვნებო სკოლის მშენებლობისათვის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა. ასევე თოჯინების თეატრის სავარძლების შესყიდვა/მონტაჟი.

მიმდინარეობს სახელოვნებო სკოლის მშენებლობაზე პროექტის შეთანხმება ქ. ბათუმის მერისათან, შესაბამისად მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდება შეთანხმების შემდეგ.

პროექტის დიდი მოცულობის გამო ვერ განხორციელდა მისი სრული ექსპერტიზა და 2021 წელს ვერ მოხერხდა ნებართვის პროცედურის დასრულება.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 30,1 %

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო“ 2021 წელს ახორციელებს ქვეპროგრამას - კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება. ქვეპროგრამის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 849,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 564,3 ათას ლარს.

განხორციელდა პეტრას ციხის ინფრასტრუქტურული სამუშაოები თანხით 181,8 ათასი ლარი. პეტრას ციხეზე მოეწყო ბილიკები, მოედანი. განთავსდა სკამები, ურნები და სხვა ინფრასტრუქტურა.

ღონისძიების - გონიოს მუზეუმ-ნაკრძალის ინფრასტრუქტურული მოწყობა - ფარგლებში განხორციელდა გონიოს ციხის ირგვლივ ღობის მოწყობის სამუშაოები და კოშკისა და კივის ხეივანის რეკონსტრუქცია, დაფინანსებულია 208,9 ათასი ლარის სამუშაები;

დასრულდა გონიოს ციხის, პეტრას ციხის, დარჩიძეების ნაეკლესიარის, ნამონასტრევის, მაჭახელას, ალმეს და ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციები - 130,0 ათასი ლარი;

დასრულდა ქ. ბათუმში ლ.ასათიანის ქ. N28, ი.აბაშიძის ქ. N3, ზუბალაშვილის ქ. N39, თავდადებულის ქ. N36 მდებარე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლების რეაბილიტაცია -369,8 ათასი ლარი;

დასრულდა ქ. ბათუმში მ. აბაშიძის ქ. N35, მაზნიშვილის ქ. N36, ვ. ფშაველას ქ. N38, 26 მაისის ქ. N7 მდებარე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლების მცირე რეაბილიტაცია - 64,0 ათასი ლარი;

რეაბილიტაცია ჩაუტარდა აჭარაში არსებული ავარიულ მდგომარეობაში მყოფ საკულტო სახეობის ძეგლებს - 391,1 ათასი ლარი. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ბათუმის ცენტრალურ მეჩეთსა და ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარს;

შეძენილია ძენწმანისა და ზვარეს მეჩეთების პროექტები, ასევე შეძენილილია ლეღვას საწნახელის, მახოს ხიდისა და ჩხუტუნეთის მარანის რეაბილიტაციის პროექტი და ქ. ბათუმში მდებარე 6 ავარიული ძეგლის პროექტი, თანხით 155,2 ათასი ლარი;

რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხიხანის ციხეზე #2 კოშკს - 20,0 ათასი ლარი;

ჩატარდა პეტრას ციხის გახსნის კულტურული ღონისძიება - 15,7 ათასი ლარი;

განხორციელდა საინფორმაციო მასალების ბეჭდვა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ - 27,8 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორი თანხის აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია იმის გამო, რომ ღონისძიებაზე ხინოს ნაეკლესიარის რეაბილიტაცია ელექტრონული ტენდერი არ შედგა, კლიმატური პირობების გამო ხიხანის ციხეზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ვერ დასრულდა და ხელშეკრულება გახდა მრავალწლიანი, კომპანიის მიერ 2021 წელს მოხერხდა მხოლოდ ნაწილობრივი სამუშაოების შესრულება, ასევე სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისათვის ჩატარებული ელექტრონული ტენდერებიდან წარმოიქმნა ეკონომია.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 84,6 %

სპორტის განვითარების ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით სპორტის დეპარტამენტი 2021 წელს ახორციელებს ორ პროგრამას, სპორტის სფეროს მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და პროგრამას - სპორტის ხელშეწყობა.

პროგრამის - სპორტის ხელშეწყობის ფარგლებში ხორციელდება ოთხი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - სპორტული ღონისძიებები საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2 185,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 141,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა აჭარის ჩემპიონატების, პირველობებისა და სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებში აჭარის გუნდებისა და სპორტსმენების მონაწილეობა. საანგარიშო პერიოდში კალენდარული გეგმის თანახმად ჩატარდა აჭარაში მოქმედი 37 ფედერაციის 435 ღონისძიება და გაწეული იქნა ხარჯი 2 121,1 ათასი ლარი, ასევე განხორციელდა 2021 წლის საუკეთესო სპორტის სფეროს მუშაკებისა და ჟურნალისტების დაჯილდოება, საკასო ხარჯმა შეადგიან 20,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,0 %

ქვეპროგრამის - აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოები საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 471,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 431,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:
აჭარაში მოქმედი სპორტული ფედერაციის 431 სპორტსმენსა და მწვრთნელს სხვადასხვა რანგის ჩემპიონატებსა თუ პირველობებში მიღწეული წარმატებებისათვის

ქვეპროგრამის ფარგლებში გადაეცა ერთჯერადი ფულადი ჯილდო თანხით 397,0 ათასი ლარი.

გაწეული იქნა 34,9 ათასი ლარი 2020 წლის დავალიანების დასაფარად, კერძოდ, 29 გამარჯვებულ სპორტსმენტსა და მწვრთნელზე.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 91,7 %

ქვეპროგრამის - სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობათა განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 629,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 590,1 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2021 წლის განმავლობაში ჩატარდა 54 სასწავლო-საწვრთნო შეკრება წყალბურთში, ხელბურთში, ფრენბურთში, ფეხბურთში, ინდორ ჰოკეიში, კალათბურთში, ძალოსნობაში, მშვილდოსნობასა და ძიუდოში. სპორტსმენები ღონისძიებების პროცესში უზრუნველყოფილი იყვნენ ტრანსპორტით, სასტუმროთი და კვებით. ჩასატარებელი ღონისძიებების ზედამხედველობისა და საორგანიზაციო საკითხების მოგვარების მიზნით თითოეული სახეობების მიხედვით სპორტის დეპარტამენტის მიერ შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი იქნა 9 კოორდინატორი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 93,8 %

ქვეპროგრამის - მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტსმენთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 355,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 294,1 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2021 წლის განმავლობაში ყოველთვიური 187,50 ლარიანი დახმარება გაეწია 74 ბენეფიციარს (162,9 ათასი ლარი), იუბილეებისა და სხვა ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით მატერიალური მხარდაჭერა გაეწია 32 ბენეფიციარს - სულ თანხით 18,8 ათასი ლარი. 8 სპორტის დამსახურებულ მუშაკის გარდაცვალების გამო მათ ოჯახს გაეწია ერთჯერადი დახმარება, სულ გაწეულია 8,0 ათასი ლარი.

ასევე ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა გაიცა: ინდივიდუალურ სახეობებში ვეტერან სპორტსმენებზე, რომლებსაც საქართველოს ნაკრების სახელით მოპოვებული აქვთ საპრიზო ადგილები საერთაშორისო ასპარეზობებში ან/და მონაწილებდნენ ოლიმპიურ თამაშებზე; გუნდურ სახეობებში ვეტერან სპორტსმენებზე, რომლებიც მონაწილეობდნენ პირველი ან უმაღლესი ლიგის ჩემპიონატებში; აჭარისა და საქართველოს სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებზე, მუშაკებსა და მწვრთნელებზე, სულ 348 ბენეფიციარზე თანხით 104,4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 82,7 %

სსიპ „ახალგაზრდული რეგიონული ცენტრი“ 2021 წელს ახორციელებს ხუთ პროგრამას, აქედან „ახალგაზრდული რეგიონული ცენტრის“ პროგრამას, რომელიც წარმოადგენს

ადმინისტრაციულ ხარჯებს და 4 პროგრამას.

პროგრამის - არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობის ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - ლაშქრობა და ბანაკები საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 215,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 72,8 ათას ლარს.

ლაშქრობა - საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი ღონისძიების ფარგლებში გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი და ი/მ ლუკა მაყაშვილთან გაფორმებული იქნა ხელშეკრულება 40,0 ათას ლარზე, რაც მოიცავს ხუთი მიმართულებით: გომის მთა-ბახმარო, ტობავარჩხილი, გონა, მყინვარწვერი, ჯეოქეჩინგი (ტყის თამაში) საბანაკე ტიპის ღონისძიების ორგანიზებას, საანგარიშო პერიოდში მოეწყო ჯეოქეჩინგი (ტყის თამაში) ორგანიზება და გაწეული იქნა ხარჯი 8,0 ათასი ლარი.

შემეცნებითი ტურების ორგანიძების მიზნით გამოცხადებული იქნა ელექტრონული ტენდერი და შპს „ფანდეი ივენთთან“ გაფორმებული იქნა ხელშეკრულება 48,8 ათას ლარზე. ხელშეკრულება ითვალისწინებს ოთხი ტურის ორგანიზებას, კერძოდ: ყაზბეგის, სვანეთის, კახეთის, თუშეთის მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში მოეწყო ყველა ტური. ახალგაზრდები ღონისძიების დროს უზრუნველყოფილი იყვნენ ტრანსპორტირებით, სასტუმროთი, კვებით და ა.შ. ღონისძიება ასევე მოიცავდა გიდისა და ლიდერის მომსახურებას. ღონისძიებაში ჩართული იყო 100 ახალგაზრდა და ხარჯი შეადგენს 48,8 ათას ლარს.

წამო მთაში - ღონისძიება გულისხმობს ქალაქად მცხოვრები ახალგაზრდების გაგზავნას აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში, თავიანთ თანატოლებთან, რომლის ფარგლებშიც ცხრა ახალგაზრდა 7 დღის განმავლობაში გაიგზავნა ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტში, მიმღები ოჯახებისთვის, სადაც განთავსდნენ ბენეფიციარები შეძენილი იქნა სასურსათო პაკეტები, მონაწილეებს ჩაუტარდათ ასევე კოვიდ ტესტირება და უზრუნველყოფილი იყვნენ ტრანსპორტით. ღონისძიების ხარჯი შეადგენს 8,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია 8,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის თანხის აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ღონისძიება ლაშქრობის ხუთი ტურიდან მოეწყო მხოლოდ ერთი ჯეოქეჩინგი (ტყის თამაში). ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სიტუაციიდან (COVID 19) გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში დადგენილებით შეიზღუდა ბანაკის ტიპის ღონისძიების ჩატარება, აღნიშნული ღონისძიება არის საბანაკე ტიპის, სადაც ვერ იქნება დაცული სოციალური დისტანცია და უზრუნველყოფილი ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოების ნორმები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანარჩენი ოთხი კომპონენტი ვერ იქნა განხორციელებული, ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და სახელშეკრულებო თანხა შემცირდა.

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამა ითვალისწინებდა სამხედრო ბანაკის ორგანიზებას, ვინაიდან ღონისძიება არის საბანაკე ტიპის, ზემოთაღნიშნული შეზღუდვების გამო ღონისძიება საანგარიშო პერიოდში ვერ იქნა განხორციელებული.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 33,8 %

ქვეპროგრამის - გართობა და შემეცნება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 323,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 71,8 ათას ლარს.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორების შრომის ანაზღაურებაზე 12,6 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ორ ღონისძიებაზე „პეინტბოლ ჩემპიონატი"-სა და „კიბერ ფესტივალი"-ს განსახორციელებლად საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული იქნა ელექტრონული ტენდერები და გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები მომწოდებლებთან, თუმცა (COVID 19) ეპიდემიური სიტუაციის გამო, დადგენილი რეგულაციებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ღონისძიების სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც ვერ იქნება დაცული სოციალური დისტანცია და უზრუნველყოფილი ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოების ნორმები, ორივე ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და მომსახურების გაწევის ვადა გადაიწია ოქტომბერ-ნოემბრის თვეში, თუმცა აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში არსებული ეპიდვითარების გამო ვერ იქნა განხორციელებული კიბერ ფესტივალი, ხოლო პეინტბოლ ჩემპიონატი ჩატარდა კოვიდრეგულაციების სრული დაცვით აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში და ჩართული იყო 336 ბენეფიციარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 24,2 ათასი ლარი.

ღონისძიება „ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის" ორგანიზებისთვის გამოცხადებული იქნა ელექტრონული ტენდერი, ღონისძიების ჩატარების თარიღად განსაზღვრული იყო 12 აგვისტო. ღონისძიების ბიუჯეტი შეადგენდა 95,0 ათას ლარს, თუმცა აგვისტოს თვეში პანდემიის დამძიმებული მდგომარეობის გამო, დადგენილი რეგულაციებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობდა მასობრივი გასართობი ღონისძიების ჩატარების შეზღუდვას, ვერ განხორციელდა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ღონისძიება „აჭარის ღია სასკოლო ჩემპიონატი", რომელიც ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში ჩაატარა „აჭარის მხიარულთა და საზრიანთა კლუბმა", სადაც ჩართული იყო 80 მდე ახალგაზრდა. ღონისძება ითვალისწინებდა ახალგაზრდებში თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობას, საკასო ხარჯმა შეადგინა 35,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამით საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი 5 ღონისძიებიდან განხორციელდა მხოლოდ ორი, (COVID 19) ეპიდემიური სიტუაციის გამო, დადგენილი რეგულაციებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით ერთი ღონისძიების ტენდერი სატენდერეო კომისიის გადაწყვეტილებით შეწყვეტილი იქნა და ორი ღონისძიების ტენდერი არ გამოცხადდა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 22,2 %

პროგრამის - ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობის ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - კონფერენციები და ფორუმები საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 136,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი საკასო ხარჯი 34,0 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში ღონისძიების საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერის ფარგლებში კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოვლენილი იქნა სამი ბენეფიციარი, მ/შ ერთი ბენეფიციარი გაიგზავნა აშშ-ში, 12 თვით, რათა გაევლო პრაქტიკული ტრენინგი სასტუმროს კლიენტთა მომსახურების დეპარტამენტში, სასტუმრო Hyatt Regency New Orleans-ში, მეორე ბენეფიციარი გაიგზავნა ესპანეთში, საერთაშორისო საზაფხულო სკოლაში (ISS) მონაწილეობის მისაღებად და მესამე გაიგზავნა ყაზახეთში, ეროვნული სატელევიზიო არხი „QAZAQSTAN"-ის შოუს „ქაზაქსთან დაუს"-ში მონაწილეობის მისაღებად, თითოეულ ბენეფიციარს დაუფინანსდა ავიაბილეთის საფასური, საკასო ხარჯმა შედგინა 4,6 ათასი ლარი. დეკემბრის თვეში განხორციელდა ღონისძიება „წარმატების ფორმულა", რომლის ორგანიზება უზრუნველყო შპს „სივრცემ", ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა სამოტივაციო ხასიათის თემატური შეხვედრა, ღონისძიებას ესწრებოდა 90-მდე ახალგარზდა. ღონისძიების დასრულების შემდეგ წარმატებულ მონაწილეებს გადაეცათ ფასიანი ვაუჩერები, საკასო ხარჯმა შედგინა 18,2 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში აყვანილი იქნა ორი კორდინატორი, გაწეული იქნა ხარჯი 11,2 ათასი ლარი.

ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე (COVID 19) პანდემიის ბრძოლის წინააღმდეგ დადგენილი რეგულაციებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით ვერ განხორციელდა ღონისძიება „საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერის" ფარგლებში დაგეგმილი თანხის სრულად ათვისება, რადგანაც მხოლოდ სამი ბენეფიციარის დაფინანსება მოხდა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 24,9 %

ქვეპროგრამის - მოხალისეობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 53,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 37,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ღონისძიების - YRC კლუბის ორგანიზებას, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა მოხალისეთა კლუბი, კლუბში წევრი მოხალისეები ჩართული იყვნენ მოხალისეობრივი აქტივობების დაგეგმვის, ორგანიზებისა და განხორციელების პროცესში. YRC კლუბი იყოფა ორ ეტაპად: ღონისძიების ორგანიზება და მოხალისეთა ეკიპირება.

ღონისძიების ორგანიზების განსახორციელებლად საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, რომელიც არ შედგა, სსიპ ახალგაზრდობის

რეგიონული ცენტრის მიერ სექტემბრის თვეში ხელმეორედ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 17,8 ათასი ლარი.

ღონისძიების მონაწილეთა ეკიპირების მიზნით სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის მიერ შესყიდული იქნა 10,9 ლარის ღირებულების მაისურები, ზურგჩანთები და ა.შ.

ქვეპროგრამის წინამოსამზადებელი სამუშაოების განსახორციელებლად აყვანილი იქნა კოორდინატორი, გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 9,1 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 71,3 %

პროგრამის - კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - კარიერული განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 187,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 20,9 ათასი ლარი.

კარიერული განვითარების მხარდაჭერის ღონისძიების ფარგლებში მოძიებულ იქნა რეგიონში არსებული თავისუფალი სამუშაო ადგილები და შესაბამისად განხორციელებულ იქნა ახალგაზრდების რეკრუტინგის პროცესი. შერჩეული ახალგაზრდების სტაჟირების მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები, რის საფუძველზეც ორგანიზაციებს დაევალდებულათ ღონისძიებაში ჩართულ თითოეულ სტაჟიორზე არაუმცირეს 287 ლარის შრომის ანაზღაურების გაცემა. ცენტრში შემოვიდა 57 განცხადება, მათგან შერჩეული და დასაქმებული იქნა 13 ახალგაზრდა. გაწეულია ხარჯი 14,1 ათასი ლარი.

საზღვარგარეთ სტაჟირება - ღონისძიების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში ახალგაზრდების მიერ შემოვიდა 16 განაცხადი, აქედან ერთი ახალგაზრდა გაიგზავნა რუმინეთში, ქალაქ ბუქარესტში, მოხალისეობრივ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, გაწეულია ხარჯი 1,2 ათასი ლარი.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 5,6 ათასი ლარი.

შესრულების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი გამოწვეულია იმის გამო რომ, ღონისძიება საერთაშორისო საზაფხულო სკოლა ვერ განხორციელდა, ღონისძიების ფარგლებში იგეგმებოდა 15-მდე ახალგაზრდის შერჩევა და გაგზავნა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ტიპის საზაფხულო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც ისინი აიმაღლებდნენ ცოდნასა და გამოცდილებას, საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში არსებულმა ეპიდემიურმა სიტუაციამ (COVID 19), გაართულა საზღვრის კვეთის პროცედურები, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ახალგაზრდების გაგზავნა ვერ მოხერხდა. ღონისძიება კარიერული განვითარების მხარდაჭერის დაბრკოლებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიური სიტუაციიდან გამომდინარე (COVID 19) პანდემიის ბრძოლის წინააღმდეგ დადგენილმა რეგულაციებმა და რეკომენდაციებმა გავლენა მოახდინა კერძო ბიზნესზე,

სადაც დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა. საზღვარგარეთ სტაჟირების ღონისძიება ხორციელდება ორგანიზაცია AIESEC (აისეკ) საქართველოსთან თანამშრომლობით, შემოსული 16 განაცხადიდან კომისიის განხილვის შემდგომ, ბენეფიციარების ნაწილი ვერ აკმაყოფილებდა დადგენილ კრიტერიუმებს, რიგ შემთხვევაში ბენეფიციარებმა, რომლებმაც წარმატებით გადალახეს გასაუბრების ეტაპები, გართულებული ეპიდემიური სიტუაციის გამო უარი განაცხადეს პროექტში მონაწილეობის მიღებაზე, რიგ შემთხვევაში ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიური სიტუაცია (COVID 19), ვინაიდან პანდემიის ბრძოლის წინააღმდეგ დადგენილი რეგულაციებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით გართულდა საზღვრის კვეთის პროცედურები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 11,2 %

ქვეპროგრამის - ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 147,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 49,4 ათასი ლარი.

ახალგაზრდა მეწარმეებისა და სტარტ-აპერების მხარდაჭერა ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სამი პროექტი დაფინანსდა, სამი პროექტის ხარჯმა შეადგენა 43,8 ათასი ლარი, ახალგაზრდა მეწარმეებისა და სტარტ-აპერების მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და შევსებული სააპლიკაციო ფორმის საფუძველზე კომისიის მიერ გამარჯვებულად იქნა გამოვლენილი კიდევ სამი პროექტი, თუმცა გამარჯვებულ ბენეფიციარებმა შემდგომ უარი განაცხადეს პროექტის განხორციელებაზე, რის მიზეზადაც ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიური სიტუაცია დაასახელეს (COVID 19).

წინამოსამზადებელი სამუშაოებისთვის აყვანილი იქნა კოორდინატორი, გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 5,6 ათასი ლარი.

შესრულების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი გამოწვეულია იმის გამო რომ, რიგი პროექტის დაფინანსება ვერ მოხდა ბენეფიციარების მიერ პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის გამო.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 33,6 %

პროგრამის - ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - ინტელექტუალური თამაშები საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 149,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 48,1 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში ღონისძიების - რა? სად? როდის? ფარგლებში ჩატარდა აჭარის სასკოლო ჩემპიონატის ხუთი ეტაპი ხელვაჩაურის, ქედის, ხულოს, ქობულეთისა და შუახევის მუნიციპალიტეტებში, ბათუმის საზაფხულო ჩემპიონატის ათი ეტაპი, სტუდენტური რეგულარული ჩემპიონატის სამი ტური, ბათუმის სასკოლო ჩემპიონატის ერთი ტური, აჭარის სასკოლო ჩემპიონატის ბათუმის ტური და ფინალი,

საკასო ხარჯმა შეადგინა 36,2 ათასი ლარი. მონაწილეებზე გაიცა პრიზები (წიგნი) ღირებულებით 3,5 ათასი ლარი.

ღონისძიება - დებატ კლუბის ორგანიზებისთვის საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული იქნა ელექტრონული ტენდერი და გაფორმდა ხელშეკრულება 60,0 ათას ლარზე, მომსახურების გაწევის ვადად განისაზღვრა ივნისი-სექტემბრის პერიოდი, თუმცა ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სიტუაციიდან (COVID 19) გამომდინარე, დადგენილი რეგულაციებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს მასობრივი ღონისძიების ჩატარების შეზღუდვას, ასევე აღნიშნული ღონისძიების სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს მასობრივი ტიპის ღონისძიების ორგანიზებას, სადაც ვერ იქნება დაცული სოციალური დისტანცია და უზრუნველყოფილი ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების ნორმები, ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და მომსახურების გაწევის ვადა გადაიწია, მაგრამ ღონისძიება ვერ ჩატარდა.

ღონისძიება - სითი გეიმის ორგანიზებისთვის საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული იქნა ელექტრონული ტენდერი და გაფორმდა ხელშეკრულება 41,0 ათას ლარზე, მომსახურების გაწევის ვადად განისაზღვრა აგვისტო-სექტემბრის პერიოდი, თუმცა ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სიტუაციიდან (COVID 19) გამომდინარე, დადგენილი რეგულაციებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს მასობრივი ღონისძიების ჩატარების შეზღუდვას, ასევე აღნიშნული ღონისძიების სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს მასობრივი ტიპის ღონისძიების ორგანიზებას, სადაც ვერ იქნება დაცული სოციალური დისტანცია და უზრუნველყოფილი ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების ნორმები, აღნიშნულიდან გამომდინარე ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და მომსახურების გაწევის ვადა გადაიწია, მაგრამ ღონისძიება ვერ ჩატარდა.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორების შრომის ანაზღაურებაზე 8,4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 32,2 %

ქვეპროგრამის - კულტურა და ხელოვნება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 72,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 66,9 ათასი ლარი.

ღონისძიების - ფოტოგრაფიის ხელოვნება ფარგლებში მოეწყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გასვლითი, საბანაკე ტიპის ღონისძიების ორგანიზება, სადაც ჩართული იყო 25 ახალგაზრდა. ახალგაზრდებს ჩაუტარდათ მასტერკლასები და პრაქტიკული სამუშაოები ფოტოგრაფიის მიმართულებით, მოეწყო ფოტოკონკურსი და სხვა აქტივობები, პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ ახალგაზრდებზე გაიცა პრიზები (ფოტოკამერა), აგრეთვე ყველა მონაწილეზე გაიცა სერთიფიკატი. ღონისძიების დაწყებამდე ახალგაზრდებს ჩაუტარდათ (COVID-19) ტესტირება, მონაწილეები უზრუნველყოფილი იყვნენ სასტუმრო მომსახურებით, სამჯერადი კვებითა და ტრანსპორტირებით. ღონისძიებას ხელმძღვანელობას უწევდა

ლიდერი და ორი ტრენერი. ღონისძიების ხანგრძლივობა შეადგენდა 7 დღეს. საკასო ხარჯმა შეადგინა 34,0 ათასი ლარი.

ღონისძიების - გრაფიკული დიზაინის კურსი განხორციელების მიზნით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, გამარჯვებულ ორგანიზაციასთან - შპს სასწავლო საგანმანათლებლო ცენტრი ცოდნა გაფორმდა ხელშეკრულება, ღონისძიების განხორციელება დაიწყო ნოემბრის თვეში და დასრულდა დეკემბრის თვეში. ღონისძიების მიზანი იყო არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების აღმოჩენა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერა. ღონისძებით ისარგებლა 20-მა ახალგაზრდამ. ღონისძიება მიმდინარეობდა ჰიბრიდულ რეჟიმში, კურსის დასრულების შემდეგ წარმატებულ მონაწილეებს გადაეცათ სახატავი ტაბები, საკასო ხარჯმა შეადგინა 24,8 ათასი ლარი.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 8,1 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 92,8 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო 2021 წელს ახორციელებს ერთ პროგრამას - საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება, რომელიც მოიცავს ორ ქვეპროგრამას: საარქივო სამმართველოს მართვა და მომსახურების მიწოდება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, ასევე ქვეპროგრამას - საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა.

ქვეპროგრამის - საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 238,9 ათას ლარს, შესრულება შეადგენს 227,2 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ხელშეკრულებით აყვანილია პერსონალი, რომელიც ახორციელებს საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას, ხარჯი გაწეულია 227,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,1 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2021 წელს ახორციელებს 9 პროგრამას: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვის, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების, პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობის, სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის, მოსახლების გარკვეული სოციალური კატეგორიის ერთჯერადი მატერიალური დახმარების, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით, ქალაქ ბათუმის 170 საწოლზე გათვლილი მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს

აღჭურვა, ფუნქციონირება, რისკ ჯგუფების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და საკარანტინე სივრცის სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფის, მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფის და ეკომოგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამებს.

პროგრამა - სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება მოიცავს რვა ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 880,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 879,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 2 425 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 1 857, ხოლო 568 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 250,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 248,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 2 204 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 1 693, ხოლო 511 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - სახსრების ენდოპროთეზირება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 450,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 432,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 107 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 93, ხოლო 14 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,1 %

ქვეპროგრამის - ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 789,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 788,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 2 883 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 2 271, ხოლო 612 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება
საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 148,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 148,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 1 608 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 1 384. ხოლო 224 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 531,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 530,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 730 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 485. ხოლო 245 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია
საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 600,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 583,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 1 046 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 991. ხოლო 55 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,3 %

ქვეპროგრამის - მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინასება
საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 551,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 551,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამით განიხილება იმ პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსება, რომლებიც ნაწილობრივ დაფინანსებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით „მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში“. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია 39 ბენეფიციარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

პროგრამა - პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა მოიცავს ერთ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სოფლის სამედიცინო პერსონალის სოციალური უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 429,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 425,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში სამედიცინო პერსონალთან ხელშეკრულებები გაფორმებულია სსიპ „სოციალურ მომსახურების სააგენტოს“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და მუნიციპალიტეტების მერიის მომართვის საფუძველზე წარმოდგენილი სიების მიხედვით. საანგარიშო პერიოდში მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებულია სულ 43 ექიმი და 46 ექთანი, ხოლო ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში სულ 63 ექიმი და 64 ექთანი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,0 %

პროგრამა - სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია მოიცავს ხუთ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2 022,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 975,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 6 292 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 6 015. ხოლო 277 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,7 %

ქვეპროგრამის - ძვალ-სახსროვანი სისტემის დეფორმაციის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 124,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 124,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 717 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 697 ვაუჩერი, ხოლო 20 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,6 %

ქვეპროგრამის - ბავშვთა ადრეული განვითარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 674,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 649,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 4 519 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 4 280. ხოლო 239 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა

მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,2 %

ქვეპროგრამის - აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 230,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 224,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 772 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 760 ვაუჩერი, ხოლო 12 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,4 %

ქვეპროგრამის - სმენაპროთეზირებულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 6,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 3,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 14 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 13 ვაუჩერი. ხოლო 1 ვაუჩერი გაუქმდა პაციენტმა არ ჩაიტარა მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 62,9 %

პროგრამა - მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიის ერთჯერადი მატერიალური დახმარება მოიცავს ხუთ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 62,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 61,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში 61 ხანდაზმულს, რომელთაც უკვე შეუსრულდათ 100 წელი, ერთჯერადი დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 1,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,4 %

ქვეპროგრამის - ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 150,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 116,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 58 ახალშობილი ტყუპის ოჯახს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 77,3 %

ქვეპროგრამის - 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად დაღუპულთა, დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 115,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 112,0 ათას ლარს.

ომში დაღუპული და შშმ 26 მეომრის ოჯახს (31 დედასა და მეუღლეს) ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 1,0 ათასი ლარი.

ომში დაღუპული და შშმ 27 მეომრის ოჯახს აგვისტოს თვეში ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 3,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,4 %

ქვეპროგრამის - მზრუნველობამოკლებულ პირთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 87,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 76,5 ათას ლარს.

მატერიალური დახმარება გაეწია 13 მზრუნველობამოკლებულ პირს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 87,3 %

ქვეპროგრამის - ერთჯერადი სოციალური დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3 954,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 3 950,0 ათას ლარს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 691 პაციენტის მკურნალობისათვის გამოყოფილი 1 798,2 ათასი ლარიდან დაფინანსებულია (სამედიცინო მომსახურების გაწევაზე წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესაბამისად) 1 794,4 ათასი ლარი, ხოლო 1 362 ოჯახზე მატერიალური დახმარებისათვის გამოყოფილი 1 878,4 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 1 359 ბენეფიციარის მატერიალური დახმარება 1 877,4 ათასი ლარი, ასევე 66 ბენეფიცირის სხვადასხვა მომსახურეობაზე გამოყოფილი 278,2 ათასი ლარი დაფინანსებულია სრულად.

პროგრამა - შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 157,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 151,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 369 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 365, რომლის საფუძველზეც გაიცა 391 აპარატი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,7 %

ქვეპროგრამის - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 223,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 220,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 318 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 294.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,6 %

ქვეპროგრამის - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 744,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 740,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 444 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 418.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99 ,5%

პროგრამის - მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 247,1ათას ლარს, საკასო ხარჯი 247,1 ათას ლარს.

ა(ა)იპ „თანა“-სთან გაფორმდა ხელშეკრულება მომსახურების გაწევაზე. საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამაში ჩართული იყო 38 ბენეფიციარი. 247,1 ათასი ლარით დაფინანსდა სხვადასხვა პრობლემების მქონე, მათ შორის მარტოხელა, მიუსაფარი და ძალადობაგანცდილი დედების და ბავშვების, თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, დასაქმებაში დახმარება და სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 638,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 638,5 ათას ლარს.

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრთან“ გაფორმდა ხელშკრულება მომსახურების გაწევაზე. საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამაში ჩართული იყო 85 ბენეფიციარი. 638,5 ათასი ლარით დაფინანსდა ხანდაზმული ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, განხორციელდა რეაბილიტაცია მულტიდისციპლინალური გუნდის მიერ შედგენილი

ინდივიდუალური მართვის გეგმის შესაბამისად.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 919,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 919,8 ათას ლარს.

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრთან“ გაფორმდა ხელშკრულება მომსახურების გაწევაზე. საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამაში ჩართული იყო 80 ბენეფიციარი. 919,8 ათასი ლარით დაფინანსდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსებით დაკომპლექტებული საცხოვრისის 24 ბენეფიციარის თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, ბენეფიციარის საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად აღჭურვილი ფიზიკური გარემოს, სხვადასხვა აქტივობების და გასართობი თუ სხვა ღონისძიებების მიწოდება. ბენეფიციარებს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია ჩაუტარდათ მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ შედგენილი ინდივიდუალური ზრუნვის გეგმის შესაბამისად.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

პროგრამის - ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 300,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 281,5 ათას ლარს.

პროგრამით ფარგლებში განხორციელდა 50 სახლის შესყიდვა, საერთო ღირებულებით 1 250,0 ათასი ლარი, ხოლო ექსპერტიზისთვის და სარეგისტრაციო მომსახურების საფასურისათვის გახარჯულმა თანხამ შეადგინა 31,5 ათასი ლარი.
პროგრამის შესრულების პროცენტი: 98,6 %

პროგრამის - ქალაქ ბათუმის 170 საწოლზე გათვლილი მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს აღჭურვა, ფუნქციონირება, რისკ ჯგუფების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და საკარანტინე სივრცის სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3 266,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 439,7 ათას ლარს.

საკარანტინე და კოვიდ სასტუმროში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია 2 102,3 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკური საავადმყოფოს აღჭურვის მიზნით შეძენილია საოფისე ავეჯი და ინვენტარი თანხით 63,4 ათას ლარი, ხოლო რისკ ჯგუფების ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესყიდვისათვის გაწეული ხარჯი შეადგენს 148,4 ათას ლარს,

მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფოს ფუნქციონირებაზე გაწეულია 125,6 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი იყო 800,0 ათასი ლარი სუბსიდირების სახით რესპუბლიკური საავადმყოფოს აღჭურვა, ფუნქციონირებისათვის. ვინაიდან ქალაქ ბათუმის 170 საწოლზე გათვლილი მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფო მართვის უფლებით გადაეცა ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს, რის გამოც ვერ განხორციელდა აღნიშნული თანხის გადაცემა.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 74,7 %

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მხვრივ სსიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს ორ ქვეპროგრამას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მართვა და მომსახურების მიწოდება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებსა და დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკის ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 978,8 ათას ლარს, საკასო შესრულება 938,0 ათას ლარს.
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ა) მენჯ-ბარძაყის სახსრის დიპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა:

საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია 0-1 წლამდე ასაკის 576 ბავშვს, რომელთაც ჩაუტარდათ პირველადი ჯანდაცვის ცენტრების დონეზე ორთოპედის პირველადი კონსულტაცია, მათ შორის: ბათუმი - 142, ქობულეთი - 69, ხელვაჩაური - 284, ქედა - 25, შუახევი - 20, ხულო - 36. 576 ბენეფიციარს გადაეცა პროფილაქტიკური მედიკამენტის ერთი თვის მარაგი. საჭიროების მიხედვით რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა და ინსტრუმენტული გამოკვლევის შემდგომი კონსულტაცია ჩაუტარდა 70 ბენეფიციარს.

ბ) ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში:
საანგარიშო პერიოდში გამოკვლეული იქნა ანტენატალურ კომპონენტში ჩართული 4 313 ორსული, მათ შორის ქალაქ ბათუმის დაწესებულებებში - 4 103 ორსული, ქობულეთში - 121 და ხულოს სამედიცინო დაწესებულებაში - 89.

გ) სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის მეორეული დიაგნოსტიკა:
საანგარიშო პერიოდში შუა ყურის გამოკვლევა ანუ სმენის მეორეული სკრინინგი ჩაუტარდა 44 ბენეფიციარს (ქობულეთი - 22, ხელვაჩაური -13, ქედა - 4, შუახევი - 2, ხულო - 3). ასევე ჩაუტარდა ტვინის ღეროს სმენის პასუხის მარტივი ტესტი 8 ბენეფიციარს, შუა ყურის ინტაქტურობის დადგენა ტიმპანომეტრული გამოკვლევით ჩაუტარდა 30 ბენეფიციარს, კომპიუტერული აუდიომეტრია 2 ბენეფიციარს.

დ) ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში:
ალერგიულ დაავადებათა დიაგნოსტირებისა და მართვის დაგეგმვის მიზნით ღონისძიებით ისარგებლა 258-მა ბენეფიციარმა, მ.შ: ალერგოლოგის კონსულტაცია ჩაუტარდა 258-ს, გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა 258-ს, კანის პრიკ ტესტი არაინფექციურ ალერგენებზე 258-ს, სისხლის შრატში საერთო IgE განსაზღვრა-83-ს.

ე)აუტიზმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში:
ბავშვთა ფსიქიატრის კონსულტაცია აუტიზმის სკრინინგული შეფასებით ჩაუტარდა 152 ბენეფიციარს, მ.შ. ბათუმი -113, ქობულეთი -16, ხელვაჩაური - 14, შუახევი - 4, ხულო - 5. ADOS ტესტი ჩაუტარდა - 122 ბენეფიციარს.

ვ) C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, აივ ინფექციის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობა: საანგარიშო პერიოდში სკრინინგი ჩაუტარდა 27 133 ბენეფიციარს.

ზ) ორსულ და ლაქტაციის პერიოდში, ქალებში, ტყვიის შემცველობის განსაზღვრა - სისხლში ტყვიის შემცველობის განსაზღვრა ატომურ-აბსორბციული სპეტროფოტომეტრიის მეთოდის საშუალებით ჩაუტარდა 6 000 ბენეფიციარს, მ.შ. ბათუმი -3 097, ქობულეთი - 981, ხელვაჩაური - 960, ქედა - 297, შუახევი - 218, ხულო - 447.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,8 %

დასაქმების ხელშეწყობის მხვრივ სსიპ დასაქმების სააგენტო ახორციელებს შვიდ ქვეპროგრამას, აქედან „დასაქმების ხელშეწყობის მართვის“ ქვეპროგრამას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და 6 ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 67,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 67,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: შეირჩა ოთხი შრომითი კონსულტანტი, რომელთაც გაუფორმდათ შრომითი ხელშეკრულება. შრომითი კონსულტანტების მიერ განხორციელდა სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად შრომის მართვის ელექტრონულ სისტემაში 976 სამუშაოს მაძიებლის, 192 ორგანიზაციისა და 701 ვაკანსიის რეგისტრირება; მოხდა სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად შრომის მართვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული 301 ბენეფიციარის დასაქმება; მარკეტინგული და სარეკლამო კამპანიის ფარგლებში, ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერს მომზადდა ბეჭდური და ელექტრონული საინფორმაციო მასალები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,7 %

ქვეპროგრამის - დასაქმების ხელშეწყობა პროფესიული მომზადება/გადამზადების გზით საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 132,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 126,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: ქვეპროგრამის გაცნობის მიზნით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები დაინტერესებული მხარეებისთვის. სატრენინგო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული სსიპ „საზოგადოებრივი კოლეჯი ახალი ტალღა“. კონკურსის შედეგად შეირჩა ქვეპროგრამის 20 მოსარგებლე, რომლებმაც სწავლებას კურსი დაასრულეს შემდეგ პროფესიებში: მძიმე ტექნიკის ოპერატორი, ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება, შედუღება, კულინარიის ხელოვნება. პროფესიული მომზადების 52-მა ბენეფიციარმა სწავლების კურსი გაიარა შემდეგ პროფესიებში: ბართენდერი, კულინარიის ხელოვნება, სასტუმროს მომსახურება, სარესტორნო მომსახურება, ელექტროობა, შედუღება, მძიმე ტექნიკის ოპერატორი. 5-მა დაბრუნებულმა მიგრანტმა გაიარა სწავლება შენდეგ პროფესიებში: მზარეული და გიდი. ქვეპროგრამის ფარგლებში პროფესიული მომზადება/ გადამზადების სწავლების სრული კურსი სულ გაიარა 77 ბენეფიციარმა და სერთიფიკატი მიიღო, 57 ბენეფიციარი დასაქმდა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,2 %

ქვეპროგრამის - სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 31,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 27,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: სატრენინგო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ა(ა)იპ „ტრენინგების საერთაშორისო ცენტრი“. განისაზღვრა დასაქმებულთა მოთხოვნები და საჭიროებები, შემუშავდა საგანმანათლებლო პროგრამები. კონკურსის შედეგად შერჩეულმა 50-მა მოსარგებლემ სწავლა დაიწყო შემდეგ პროფესიებში: მიმტანი, მიღება-განთავსების სპეციალისტი, გაყიდვების აგენტი, ქოლ ცენტრის ოპერატორი, გრაფიკული ხატვა. სწავლების სრული კურსი გაიარა 50 ბენეფიციარმა და სერთიფიკატი მიიღი. 23 კურსდამთავრებული დასაქმდა.

ქვეპროგრამის სრული თანხის აუთვისებლობა გამოწვეული ელექტრონული ტენდერის ეკონომიის შედეგად.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 88,7 %

ქვეპროგრამის - შშმ პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 20,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 20,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: განხორციელდა ქვეპროგრამაში ჩართვის მსურველი 8 შშმ პირის ინდივიდუალური შეფასება და შეფასების საფუძველზე კარიერული განვითარების გეგმის შედგენა. ქვეპროგრამის მოსარგებლეებმა სწავლა დაიწყო შემდეგ პროფესიებში: კონდიტერი, ფინანსური ასისტენტი, ფრჩხილის მომსახურების სპეციალისტი, გაყიდვების კოორდინატორი, ტექნიკოსი. ქვეპროგრამის ფარგლებში პროფესიული და პრაქტიკული უნარჩვევების სწავლების სრული კურსი გაიარა 8 მოსარგებლემ და სერთიფიკატი მიიღი. 6 კურსდამთავრებული დასაქმდა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით
საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 35,0 თას ლარს, საკასო ხარჯი 35,0 ათასი ლარი.
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება და უნარების გაძლიერება ახალი საბაზრო მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად; ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა კომპანიების რეგისტრაცია და რეგიონალური ბაზრის საჭიროებების მოკვლევა, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მოსარგებლეთა ინტერვიურება და ჯგუფების დაკომპლექტება, ტრენინგების ორგანიზება შემდეგ მიმართულებებში - ორგანიზაციის ადმინისტრირება და ფუნქციონირება და მართვის თანამედროვე მეთოდები, რეკრუტინგი, შერჩევა და პერსონალის მართვის ფსიქოლოგია, სოციალური მედია მარკეტინგი და გაყიდვები,

მოლაპარაკების ხელოვნება და წარმატებული პრეზენტაცია, რესტორნის მართვის თანამედროვე მიდგომები და გამოწვევები; განხორციელდა მასტერკლასის ორგანიზება შემდეგ მიმართულებებში - თანამედროვე მიდგომები კულინარიაში, თანამედროვე მიდგომები კონდიტერიაში. ქვეპროგრამის ფარგლებში კვალიფიკაცია აიმაღლე 70-მა ბენეფიციარმა, გადაეცათ სერთიფიკატები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობა - საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 50,0 თას ლარს, საკასო ხარჯი არ გაწეულა.

2020 წლის 11 მარტს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიად გამოცხადებიდან პერიოდულად დაწესებული სხვადასხვა სახის შეზღუდვებით სრულად ან ნაწილობრივად იზღუდებოდა სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობა. განსაკუთრებული ზიანი მიადგა ტურიზმის სექტორს, მათ შორის საკრუიზო ტურიზმის სექტორში ოპერირებად კომპანებს, რომლებსაც ფაქტობრივად შეჩერებული ჰქონდათ საქმიანობა. შესაბამისად, უცხოელი დამსაქმებლები (რომლებიც საზღვაო სფეროში ძირიდათ აქტორებს წარმოადგენდნენ) თავს იკავებდნენ ახალი სამუშაო ძალაზე მოთხოვნისგან. ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში

დარგის ექსპერტთა ჩართულობით შემუშავებული იქნა სასწავლო მოდული, რომლითაც უნდა განხორციელებულიყო ქვეპროგრამაში ჩართვის მსურველთა გადამზადება, სწავლება არ განხორციელებულა, ვინაიდან სასწავლო კურსის დასრულებისას ვერ მოხერხდებოდა დასაქმების ხელშეწყობა და შესაბამისად ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი პროექტით განსაზღვრული შედეგების მდგრადობა.

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციები 2021 წელს ახორციელებს 15 პროგრამას. აქედან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2021 წელს ახორციელებს ოთხ პროგრამას: აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრირების მართვის ხარჯებს, და შემდეგ 3 პროგრამას: აგროსექტორის მდგრადი განვითარების, სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით და სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქციის პროგრამებს.

პროგრამა - აგროსექტორის მდგრადი განვითარება მოიცავს ორ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 112,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 110,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:
ქვეპროგრამის ფარგლებში 15 მეცნიერ-მკვლევართან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად წარმოდგენილ იქნა სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგების მიხედვით შემუშავებული სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციები და 7 ანგარიში.

კონკურსის შედეგად ანაზღაურებადი სტაჟირებისთვის შერჩეული იქნა 10 სტაჟიორი. 6 თვიან სტაჟირება წარმატებით გაიარეს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრში - 6 სტაჟიორმა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში - 2 სტაჟიორმა და სსიპ ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში - 2 სტაჟიორმა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ორი აგროტური, კერძოდ: I აგროტური – ვიზიტი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სოფ.ჯიღაურას საცდელ-სადემონსტაციო მეურნეობა და ლაბორატორია (მცხეთის მუნიციპალიტეტი). II აგროტური – ვიზიტი: სამეგრელო, ზუგდიდი – შპს ფერერო და შპს ნერგეტა; იმერეთი, წყალტუბო – შპს ჰერბიას სასათბურე მეურნეობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,3 %

ქვეპროგრამის - აგრარული ექსტენციის მიწოდება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 130,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 127,5 ათას ლარს.
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

რეგიონის ფერმერებისა და აგრომეწარმეებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიებზე და მასალებზე ორიენტირებული ინტენსიური ექსტენციის მომსახურების მიწოდების მიზნით გამოცხადებული კონკურსის შედეგად შერჩეული და შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი იქნა მაღალკვალიფიციური 8 სპეციალისტი. საანგარიშო პერიოდში ღონისძიება „აგრარული ექსტენციის მიწოდება“ ფარგლებში 8 სპეციალისტის მიერ მემცენარეობაში, მეცხოველეობაში, მეფუტკრეობაში და მეთევზეობაში ექსტენციის ფაზების მიხედვით ხუთ მუნიციპალიტეტში ექსტენცია მიწოდებული იქნა ექსტენციას დაქვემდებარებულ ფერმერულ მეურნეობებზე როგორც ინდივიდუალურად, ასევე ინტერნეტ ესქტენციის სახით. ექსტენციაში ჩართული იყო 3 678 ფერმერი და აგრომეწარმე. ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში ექსტენციონისტები ახორციელებედნენ ინდივიდუალურ ექსტენციას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,1 %

პროგრამა - „სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით“, მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 500,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 190,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება (ელექტრონული ტენდერი (NAT210012151) შპს „NEW TECHNICS“-თან, ღირებულებით 1 500,0 ათასი ლარი, რომლის თანახმად საანგარიშო პერიოდში მოწოდებულია 1 000 ერთეული მოტოკულტივატორი და მიმწოდებელთან განხორციელდა ანგარიშსწორება 1 190,0 ათას ლარზე. ტენდერის შედეგად წარმოქმნილმა ეკონომიამ შეადგინა 310,0 ათასი ლარი. 1 000 ერთეული კულტივატორი გადაცემულია რეგიონის ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 79,3 %

ქვეპროგრამის - სასოფლო -სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 182,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 095,4 ათას ლარს.

ღონისძიების - პროექტების დაფინანსება (არანაკლებ - 250 პროექტი) ფარგლებში საანგარიშო პეროიდში შერჩეულია და დაფინანსებული 314 პროექტი თანხით 1 027,3 ათასი ლარი. ღონისძიების ფარგლებში სამინისტროში შემოსული - 2958 განაცხადის განხილვა პრიორიტეტების შესაბამისად გაგრძელდა. საანგარიშო პერიოდში ღონისძიების ფარგლებში გაწეულ იქნა შემდეგი აქტივობები: შემოსული განაცხადების მონაცემების მიხედვით შედგა ელექტრონული რეესტრი, განაცხადების დოკუმენტალური შესწავლით დადგინდა ქვეპროგრამის განხორციელების წესთან მათი შესაბამისობა და აღნიშნული ინფორმაცია წარედგინა ბენეფიციართა შესარჩევ კომისიას, რომელმაც მოახდინა ქვეპროგრამის პრიორიტეტული მიმართულებების

განსაზღვრა და ბენეფიციართა შერჩევის პირველ ეტაპზე გადასული განაცხადების შერჩევა. შერჩეული განაცხადები შესწავლილი იქნა ადგილზე მონიტორინგის გზით, რაზედაც მომზადდა შესაბამისი ანგარიშები და წარედგინა ბენეფიციართა შესარჩევ კომისიას, რომელმაც განხილვის საფუძველზე მოახდინა ღონისძების ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციართა სიის ფორმირება. ასევე, საანგარიშო პერიოდში მომზადდა ქვეპროგრამის წესით გათვალისწინებული სამმხრივი ხელშეკრულებები, ხოლო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მხარეებს შორის გაფორმდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები. ქვეპროგრამის ფარგლებში 314 პროექტზე - სამინისტროს, ბენეფიციარებსა და მიმწოდებლებს შორის მომზადდა 500-ზე მეტი სამმხრივი ხელშეკრულება.

ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებული იყო სასათბურე მეურნეობების მოწყობის პროექტების დაფინანსების კომპონენტი. რომლის განხორციელების პროცესში შეფასებულ იქნა მოსალოდნელი რისკები. კერძოდ - დარჩენილი დროითი რესურსის სიმცირე, აგროვადებით მოსალოდნელი სეზონური ბუნებრივ-კლიმატური პირობები და მიმწოდებელთა მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მაღალი რისკი. რის საფუძველზეც, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს „პროგრამული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი"-ს მიერ, მიღებულ იქნა სარეკომენდაციო ხასიათის დადგენილება სასათბურე მეურნეობების მოწყობის კომპონენტის განხორციელების შეჩერებასთან დაკავშირებით, იმ ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, რაც საფრთხეს შეუქმნიდა ქვეპროგრამის განხორციელებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სულ გაფორმდა - 6 შრომითი ხელშეკრულება და გაწეულია ხარჯი 68,1 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 50,2 %

პროგრამის - სამელიორაციო სისტემის რეკონსტრუქცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 158,8 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 942,3 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:
სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია 18 სარწყავ არხზე თანხით 849,6 ათასი ლარი. კერძოდ:

ხულოს მუნიციპალიტეტში - სოფელ ჯვარიქეთის სარწყავი არხი, ღურტის სარწყავი არხი და ირემაძეების სარწყავი არხი;

შუახევის მუნიციპალიტეტში - ცეკვა-ვარჯანაულის, სოფელ სხეფის, სოფელ ჭვანის, სოფელ ტაკიძეები-მოსიაშვილების და სოფელ ბესელაშვილების სარწყავი არხი;

ქედის მუნიციპალიტეტში - სოფელ ცხმორისის (სურნალი), სოფელ ხარაულას, სოფელ ჯალაბაშვილების, სოფელ კანტაურის, სოფელ ზვარეს (სასროლის უბანი) , სოფელ ახოს

(ჩრდილაღელე) და სოფელ ცხმორისის (ფერდის რუს) სარწყავი არხი;
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი- ჭარნალი-1, ჭარნალი-2 და ახალსოფლის დამშრობი არხი.

სამ სარწყავ არხზე (შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის სარწყავი არხი, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაშვილების სარწყავი არხი, ხულოს მუნიციპალიტეტის ბოძაურის სარწყავი არხი) მიმწოდების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო შეწყვეტილი იქნა ხელშეკრულებები. ამასთან ბოძაურის სარწყავი არხზე მეწარმის მიერ დასრულდა პირველი ეტაპის სამუშაოები და დაფინანსდა 15,8 ათასი ლარით. აღნიშნული პროექტების განხორციელების მიზნით 2021 საბიუჯეტო წლის დარჩენილი დროის სიმცირის გამო, განმეორებითი სახელმწიფო შესყიდვა არ განხორციელდა და ღონისძიებები დაიგეგმა 2022 წელს.

ხულოს მუნიციპალიტეტის დიდაჭარის სარწყავ არხზე კომპანიამ სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულება ვერ უზრუნველყო საანგარიშო პერიოდში, ხოლო ხელშეკრულებაში ცვლილებების თაობაზე გაფორმებული შეთანხმების თანახმად, სამუშოები დასრულდება 2022 წელს. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება არ განხორციელებულა.

ღონისძიების „სარწყავი და დამშრობი არხების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება“ ფარგლებში მომზადდა 15 ერთეული სამელიორაციო არხის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია თანხით 34,0 ათასი ლარი და ასევე მოწოდებულია დიდაჭარის სარწყავი არხის დამეწყრილი მონაკვეთის სამაგრი კედლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, საანგარიშო პერიოდში მიმწოდებელთან ანგარისწორება განხორციელდა - 3,4 ათას ლარზე. დარჩენილი 0,8 ათასი ლარის საკასო ხარჯი გათვალისწინებულია 2022 წ. პროგრამის ფარგლებში.

ღონისძიების „ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება“ საანგარიშგებო პერიოდის საკასო ხარჯი შეადგენს 39,5 ათას ლარს.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 81,3 %

ააიპ „აგროსერვის ცენტრი“ 2021 წელს ახორციელებს ხუთ პროგრამას.

პროგრამა - აგროსერვისის განვითარება რეგიონში მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას, ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მართვას, რომელიც წარმოადგენს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს და შემდეგ სამ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - ჩაქვისა და გვარა ხუცუბნის სანერგე მეურნეობების განვითარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 751,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 727,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

ჩაქვისა და გვარა-ხუცუბნის სანერგე მეურნეობების განვითარების მიზნით შესყიდული იქნა ორგანულის სასუქი, პესტიციდები, აგროქიმიკატები, და 80 კგ ცვილი - ვაზის მყნობისათვის. სანერგე მეურნეობების ფუნქციონირების ფარგლებში გადახდილი იქნა ყოველთვიური კომუნალური გადასახადები და გაფორმებული იქნა

სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულები, შესყიდული იქნა მომსახურება ვაზის მყნობა.

გაფორმდა შტატგარეშე მომუშავეთა 46 შრომითი ხელშეკრულება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,7 %

ქვეპროგრამის - მაღალმთიან აჭარაში სანერგე, საჩითილე მეურნეობებისა განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 379,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 354,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:
მაღალმთიან აჭარაში სანერგე, საჩითილე მეურნეობებისა განვითარების მიზნით სახელმწიფო შესყიდვის გზით შეძენილი იქნა ბოსტნეულის სათესლე მასალა და ქვანახშირი. მაღალმთიან აჭარაში ვაზის სანერგე მეურნეობის, ხეხილის სანერგე მეურნეობისა და საჩითილე მეურნეობის ფუნქციონირების ფარგლებში გადახდილი იქნა ყოველთვიური კომუნალური გადასახადები და გაფორმებული იქნა სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულები. სადემონსტრაციო სანერგე და საჩითილე მეურნეობებისათვის ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შესყიდვის ფარგლებში სანერგე მეურნეობების განვითარებისათვის გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების შედეგად გაფორმებული 6 ხელშეკრულების თანახმად მოწოდებულია სანერგე და საჩითილე მეურნეობებისათვის საჭირო მასალები და მომსახურეობა.

გაფორმდა შტატგარეშე მომუშავეთა 16 შრომითი ხელშეკრულება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 93,4 %

ქვეპროგრამის - აგრო-მომსახურების განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 823,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 802,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:
ღონისძიების შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების (11 ადამიანი) ფარგლებში გაფორმდა შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეებთან 11 შრომითი ხელშეკრულება, საკასო ხარჯმა შეადგინა 121,3 ათასი ლარი, ქვეპროგრამის ფუნქციონირების ხარჯებმა შეადგინა 71,4 ათასი ლარი.

ღონისძიების „აჭარის ტერიტორიაზე ქობულეთის, ბათუმის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ფერმერების საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული 1414 ჰა სახნავ-სათესი ფართობების უსასყიდლოდ დახვნა და მათ შორის (1290 ჰა ფართობების უსასყიდლოდ დადისკვა, დაფარცხვა). ქედის, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში 750 ჰა სახნავ-სათესი ფართობების უსასყიდლოდ დახვნა“ ფარგლებში განხორციელდა ღონისძიებით გათვალისწინებული ფართობების დამუშავება, საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 571,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „ჯარას ბიო მეფუტკრეთა სერთიფიცირება“ ფარგლებში განხორციელდა 23 ფერმერის ჯარას ბიო მეფუტკრეთა სერთიფიცირება, საკასო ხარჯმა შეადგინა 34,9 ათასი ლარი.

ღონისძიების „ჯარას მეფუტკრეთა ასოციაციის თაფლის საწარმოს სერთიფიცირება ქედის მუნიციპალიტეტში“ ფარგლებში განხორციელდა ქედის მუნიციპალიტეტში ერთი საწარმოს სერთიფიცირება, საკასო ხარჯმა შეადგინა 3,4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,4 %

პროგრამა - მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა მოიცავს ერთ ქვეპროგრამას „ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა“, რომლის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 271,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 029,4 ათას ლარს.

ქვეროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:
ქვეპროგრამის ფარგლებში გადამამუშავებელი კომპანიის მიერ ფიზიკური პირიდან ყოველ არანაკლებ 0,20 ლარად შესყიდულ არასტანდარტულ მანდარინზე გაიცა სუბსიდია 1 კგ-ზე 0,10 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 10 294,27 ტონა სამრეწველო მანდარინის სუბსიდირება რეგიონში მოქმედი ციტრუსის გადამამუშავებელი საწარმოების მეშვეობით და შესაბამისად დაფინანსებამ შეადგინა 10 294,4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში გადამამუშავებელი კომპანიის მიერ 2021 წლის ბოლოს მიღებული იქნა არასტანდარტული მანდარინი 175,46 ათასი ლარის ფარგლებში, ხოლო აანგარიშწორება განხორციელდება 2022 წელში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 80,9 %

პროგრამის - მსხვილფეხა პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 179,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 168,1 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

მეცხოველეობის დარგში ჩართული ფერმერებისა და კერძო ვეტერინარების ხელშეწყობის მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების თანადაფინანსება, ხელოვნური განაყოფიერების გზით რეგიონში განაყოფიერებული იქნა 3 200 სული პირუტყვი, საკასო ხარჯმა შეადგინა – 121,0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა ოთხი შრომითი ხელშეკრულება და გაწეული იქნა პროგრამის ადმინისტრირების ხარჯები, სულ თანხით 47,1 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 93,8 %

პროგრამის - სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 332,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 321,4 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „მუნიციპალიტეტების მიხედვით შტატგარეშე მუშა–მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (10 კაცი)“ ფარგლებში გაფორმდა შტატგარეშე მუშა–მოსამსახურეთა 10 შრომითი ხელშეკრულება, საკასო ხარჯმა შეადგინა 166,8 ათასი ლარი, პროგრამის ფუნქციონერების ხარჯებმა შეადგინა 22,7 ათასი ლარი.

ღონისძიების „პროექტების დაფინანსება“ ფარგლებში პირველ ეტაპზე შემოსულია 53 განაცხადი, აქედან 29 ბენეფიციარი გადასულია მეორე ეტაპზე, მეორე ეტაპზე გადასული 29 ბენეფიციარიდან გამოვლინდა 16 გამარჯვებული, (პროექტი ითვალისწინებდა არანაკლებ 15 ბენეფიაციარის დაფინანსებას). სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით სხვადასხვა დარგში დაფინასებულულია 16 პროექტი თანხით 1 131,9 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 99,2 %

პროგრამის - ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 135,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 129,9 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „პროგრამის ადმინისტრირების“ ფარგლებში გაფორმდა შტატგარეშე მომუშავეთა ერთი შრომითი ხელშეკრულება, საკასო ხარჯმა შეადგინა 9,6 ათასი ლარი, ასევე პროგრამის ადმინისტრირებაზე გაწეულია 0,1 ათასი ლარი. ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის მიერ დადგენილი წესით ფერმერების მიერ სასაკლაოზე დაკლული პირუტყვის სუბსიდირების საკასო ხარჯმა შეადგინა 120,2 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 96,2 %

სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“ ახორციელებს ერთ პროგრამას - „ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება“, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრირების მართვის ხარჯებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო და მის სისტემაში შემავალი სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“ 2021 წელს ახორციელებს ხუთ პროგრამას, აქედან ორს ახორციელებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ორგანიზაციულ მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრირების მართვის ხარჯებს და გარემოსდაცვითი პროგრამას, ხოლო სამ პროგრამას სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“: ტყის დაცვა და მოვლა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტები.

გარემოსდაცვითი პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - ატმოსფერული ჰაერის, ჩამდინარე და ზედაპირული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 24,1 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 24,1 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები სსიპ „ლაბორატორიული კვლევით ცენტრ“-თან ატმოსფერული ჰაერის (132 სინჯი ღირებულებით 13,2 ათასი ლარი), ჩამდინარე წყლის (105 სინჯი ღირებულებით 3,6 ათასი ლარი) და ზედაპირული წყლის (105 სინჯი ღირებულებით 7,3 ათასი ლარი) შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმების და ანალიზის ჩატარების მომსახურების შესყიდვაზე.
2. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 132 ატმოსფერული ჰაერის, 105 ჩამდინარე და 105 ზედაპირული წყლების მდგომარეობის მონიტორინგი. საკასო ხარჯმა შეადგინა 24,1 ათასი ლარი.
3. მონიტორინგის განხორციელების შედეგად გამოვლენილია გარემოსდაცვითი დარღვევის 8 ფაქტი, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის გადამეტებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია კანონმდებლობის შესაბამისად გადაგზავნილია შესაბამის ორგანოში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - აჭარის სანაპირო ზოლის ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 41,3 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 41,3 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრ“-თან ზღვის წყლის შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმების და ანალიზის ჩატარების (120 სინჯი) მომსახურების შესყიდვაზე ღირებულებით 41,3 ათასი ლარი.

2. განხორციელდა 120 ზღვის წყლის სინჯის ანალიზის გამოკვლევა, ღირებულებით 41,3 ათასი ლარი.

მონიტორინგის განხორციელების შედეგად გარემოსდაცვითი დარღვევები არ გამოვლენილა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ ახორციელებს სამ პროგრამას.

პროგრამის - ტყის დაცვა და მოვლა ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის – დეგრადირებული ტყეების აღდგენა-განახლება და ტყის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 196,6 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 176,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარლებში განხორციელდა ტყის დეგრადირებული ფართობების შემოღობვითი სამუშაოები (190 ჰა), ნიადაგის აჩიჩქვნის სამუშაოები. დაავადებული ტყის ფართობზე განთავსდა 3 100 ცალი მწერსაჭერი ხაფანგი და ფერომონი, განხორციელდა ხაფანგების მონიტორინგი, ასევე დასრულებულია ხაფანგებისა და საყრდენების ჩამოხსნა/დასაწყობება. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯი შეადგენს 176,2 ათას ლარს. გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია ჩატარებული ელექტრონული ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიების გამო.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 89,6 %

ქვეპროგრამის – სანიტარული ჭრა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 360,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 358,4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

მავნებლებით დაავადებულ ნაძვნარებში განხორციელდა 4 000 კბ.მ. სანიტარული ჭრა. კერძოდ: დაავადებული ხეების მოჭრა, დამუშავება, ჯირკების გაქერქვა, მერქნის, ტოტებისა და ქერქის ტყიდან გამოტანა, გამოტანილი ხე-ტყის გაქერქვა და დასაწყობება. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯი შეადგენს 358,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,6 %

პროგრამის - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ფარგლებში ხორციელდება ერთი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის – სატყეო სექტორში ცნობიერების ამაღლება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 4,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 4,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია სატყეო სექტორთან დაკავშირებული 8 ღონისძიება (3 ქობულეთის, 3 ხელვაჩაურის, 1 შუახევის და 1 ხულოს მუნიციპალიტეტებში). საანგარიშო პერიოდის ხარჯი შეადგენს 4,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

პროგრამის - ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტები ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა: ორგანიზაციული მართვა, რომელიც მოიცავს სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ შენახვისა და ფუნქციონირების ხარჯებსა და ქვეპროგრამას „სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა“.

ქვეპროგრამის „სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა“ საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 741,3 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 727,4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სატყეო-სამეურნეო დანიშნულების 28 960 მეტრი ახალი გზის მშენებლობა და 228 750 მეტრი არსებული გზის შეკეთება. შესრულებული სამუშაოს საკასო ხარჯი შეადგენს 546,6 ათასი ლარი.

დონორი ორგანიზაციის მიერ აშენებული მეტყევის სახლის (სატყეო საველე ცენტრი) ავეჯით და ტექნიკით უზრუნველყოფის თანადაფინანსებაზე გაწეულია 34,6 ათასი ლარი.

ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულება გაუფორმდათ 12 ტექნიკურ მუშაკს, რომელთა სახელფასო ანაზღაურებამ შეადგინა 146,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,1 %